# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცდენა ყოვლად უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 17 მაისი, 2012 წელი.

№91 (6968)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




## „უტიფართა მზე“ – დამშრალი ლაზიკა და დატბორილი თბილისი

3

## რატომ არის გარეჯის საქმე ძალიან ცუდად?..

6

დავით გარეჯის წინამძღვარი:

## ხელისუფალთა განცხადებები ერის ღალატია

7

## დაბინძურებული, დაავადებული, გაჩეხილი...

9



## ახალი „დანაშაული“ და ახალი სასჯელი

7

## ასლანზე გამარჯვების დღესასწაული

5

## ოპოზიციის რევანში

8

## გამოსხივების ურჩხულები

11

კომპიუტერით გამოჭერილები



## ერთი კაცის კონსტიტუცია

# საკონსტიტუციო ცვლილება ივანიშვილს მოარგეს

**იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტმა პლენარულ სხდომაზე საკონსტიტუციო ცვლილების ფორმულირება მეორე მოსმენისთვის იმდაგვარად წარმოადგინა, რომ პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერს ბიძინა ივანიშვილს არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიეცეს ისე, რომ საქართველოს მოქალაქეობის აღდგენა არ დასჭირდეს. საკონსტიტუციო ცვლილებათა პროექტში ჩაიწერა, რომ 2014 წლის 1 იანვრამდე საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება საქართველოს მოქალაქეებთან ერთად აქვთ პირებსაც, რომლებიც დაბადებულნი არიან საქართველოში, ბოლო 5 წელი მუდმივად ცხოვრობენ საქართველოში და აქვთ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქეობა. პირველი მოსმენისთვის საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი საქართველოში მუდმივად ცხოვრების 10-წლიან ცენზს მოითხოვდა სავალდებულოდ.**




მას შემდეგ, რაც 8 მაისს, საკონსტიტუციო ცვლილებების პირველი მოსმენით მიღების შემდეგ, ცნობილი გახდა, რომ პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერი ბიძინა ივანიშვილი საქართველოში 2004 წლიდან ცხოვრობს და, შესაბამისად, კანონპროექტით გათვალისწინებულ რეგულაციებს ვერ აკმაყოფილებს, ანუ საქართველოში უკანასკნელი 10 წელი მუდმივად არ უცხოვრია, დღის წესრიგში დადგა ფორმულირების შეცვლის აუცილებლობა, რაც ქვეყანაში ცხოვრების ცენზის დაწევას გულისხმობდა.

პარალამენტის რიგგარეშე სესიამდე, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, კომიტეტის თავმჯდომარემ პავლე კუბლაშვილმა განაცხადა, რომ უმრავლესობას არაორდინარული ვითარების გამო უწევს საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება, რათა არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ შეეზღუდოს რომელიმე სუბიექტს. ამასთან, კუბლაშვილმა ამ შეფასებით იმ ოპოზიციონერ დეპუტატებსაც უპასუხა, რომლებიც ერთ კაცზე მორგებულ საკონსტიტუციო ცვლილებებს კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან — მათ შორის ერთ-ერთია ჯონდი ბაღათურია. პავლე კუბლაშვილი საკონსტიტუციო ცვლილებებს დროისა და პოლიტიკური გამოწვევების ადეკვატურს უწოდებს:

მიგვაჩნია, რომ საქართველოში დაბადებული ადამიანი, რომელსაც 10 წელი უცხოვრია და მათ შორის ბოლო სამი წელი უცხოვრია საქართველოში — ეს ცენზი აბსოლუტურად საკმარისია, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქეს მივცეთ პოლიტიკური აქტივობის უფლებები ... ლევან ვეფხვაძე

„კონსტიტუციამ უნდა უპასუხოს ყოველ კონკრეტულ გამოწვევას და ეს არ არის სხვა დროისთვის დაწერილი სამართლებრივი აქტი. სამართლებრივი აქტები — მათ შორის კონსტიტუციაც — იქმნება პოლიტიკური პროცესისთვის, პოლიტიკური პროცესის გამჭვირვალობისთვის, კონკურენტუნარიანობისთვის, სტაბილურობისთვის — ამისთვის შედის ეს ცვლილება“.

აქვე ვთქვათ, რომ მეორე მოსმენისთვის საპარლამენტო უმრავლესობის მიერ წარმოდგენილი ფორმულირების მიმართ გარკვეული პრეტენზიები აქვთ ქრისტიან-დემოკრატებს, რომლებიც ამ საკონსტიტუციო ცვლილების თავდაპირველი ინიციატორები იყვნენ. „ქრისტიან- დემოკრატიული პარტიის“ წევრ ლევან ვეფხვაძისთვის წარმოდგენილი ვარიანტი მთლად მისაღები არ არის — ის იმედოვნებდა, რომ მეორე მოსმენისთვის მათი ფრაქციის მიერ შეთავაზებულ ალტერნატიულ ვარიანტსაც განიხილავდა პარლამენტი:

„ მიგვაჩნია, რომ საქართველოში დაბადებული ადამიანი, რომელსაც 10 წელი უცხოვრია და მათ შორის ბოლო სამი წელი უცხოვრია საქართველოში — ეს ცენზი აბსოლუტურად საკმარისია, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქეს მივცეთ პოლიტიკური აქტივობის უფლებები. ჩვენთვის სრულიად წარმოუდგენელია ეს 10- 5 და სხვა რიცხვები. ჩვენ ძალიან მკაფიო რიცხვები გვქონდა, რომელიც ამ კონკრეტულ არჩევნებზე იყო მიბმული და ყოველი რიცხვი, რომელსაც ჩვენ ჩავწერთ კონსტიტუციაში, გარკვეულ სტანდარტებს უნდა ეფუძნებოდეს და არა ჰაერიდან მოტანილი რიცხვები, რომლის წარმოდგენასაც ახლა „ნაციონალური მოძრაობა“ ცდილობს.“

ქრისტიან-დემოკრატების ამ ალტერნატიულ ვარიანტს კენჭი იმ არგუმენტით არ ეყარა, რომ კენჭისყრაზე შესაძლებელია ყველა კანონთან დაკავშირებული ალტერნატიული ვარიანტის განხილვა, გარდა კონსტიტუციისა. ამის გარკვევის შემდეგ ლევან ვეფხვაძემ უმრავლესობის მიერ წარმოდგენილ ვარიანტში ცვლილების შეტანის აუცილებლობის საკითხი დასვა. მისი წინადადების თანახმად, კონსტიტუციაში უნდა ჩაიწეროს, რომ პირმა, რომელსაც ცვლილება შეეხება, შეიძლება დაიკავოს როგორც პრეზიდენტის, ისე პრემიერ-მინისტრის ან პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობა, რადგან მოქმედი კონსტიტუცია ამ მხრივ შეზღუდვას უწესებს საქართველოს იმ მოქალაქეს, რომელიც, იმავდროულად, უცხო ქვეყნის მოქალაქეა. პავლე კუბლაშვილმა განაცხადა, რომ თანახმაა პროექტში სპეციალური ჩანაწერი შევიდეს იმისათვის, რომ ყველანაირი ორაზროვნება გამოირიცხოს.

„აღნიშნული პრინციპი საფრთხის ქვეშ აყენებს საქართველოს სუვერენიტეტს, რამეთუ უფლებას აძლევს უცხო ქვეყნის მოქალაქეებს გავლენა მოახდინონ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე და მიიღონ აღნიშნული პოლიტიკური ცხოვრებისთვის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები“.

რაც შეეხება თავად კოალიცია „ქართული ოცნების“ პოზიციას, ისინი ამ ფორმით განხორციელებულ საკონსტიტუციო ცვლილებებს არ მიესალმებიან, თუმცა, მისი დამტკიცების შემთხვევაში, კანონით მინიჭებული უფლებით ისარგებლებენ. კოალიციის წევრი, პარლამენტარი გიორგი ცაგარეიშვილი საკონსტიტუციო ცვლილებებს „სამართლებრივ ტრაგიკომედიას“ უწოდებს და ამიტომაც მის განხილვაში მონაწილეობას არ იღებს.

**15 მაისს, დღის ბოლოს, პარლამენტმა მეორე მოსმენით — 108 ხმით ერთის წინააღმდეგ — მიიღო გარდამავალი (დროებითი) საკონსტიტუციო ცვლილება, რომლის მიხედვითაც, 2014 წლის 1 იანვრამდე საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება საქართველოს მოქალაქეებთან ერთად აქვთ იმ პირებსაც, რომლებიც დაბადებული არიან საქართველოში, ბოლო 5 წელი მუდმივად ცხოვრობენ საქართველოში და აქვთ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქეობა.**

**ნინო ხარაძე,**
რადიო „თავისუფლება“.

## ინფორმაცია

# რაც „ნაცებს“ ეპატიებათ, სხვებს არ ეპატიებათ!!!

### სახალხო დამცველის პოზიცია

**საქართველოს სახალხო დამცველი ისანი-სამგორის რაიონის გამგებლის მოადგილესა და „თავისუფალი დემოკრატების“ კრწანისის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელს შორის 14 მაისს მომხდარ ინციდენტს გამოეხმაურა. როგორც გიორგი ტუღუშის განცხადებაშია ნათქვამი, მისთვის ცნობილია, რომ ისანი-სამგორის რაიონის გამგებლის მოადგილე ბესო გაზდელიანი ამ დღეს წყალდიდობის შედეგად დაზარალებულ ერთ-ერთ უბანში სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად იმყოფებოდა.**

**— მედიით გავრცელებული ვიდეომასალიდან თვალნათლივ ჩანს, რომ გამგებლის მოადგილეს სიტყვიერი შელაპარაკება მოუვიდა ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელთან, რასაც ამ უკანასკნელის ფიზიკური შეურაცხყოფა, ხოლო შემდეგ მხარეებს შორის ფიზიკური დაპირისპირება მოჰყვა. თითოეულ საჯარო მოსამსახურეს მუდმივად უნდა ახსოვდეს, რომ რიგითი მოქალაქეებისგან განსხვავებით, მას საჯარო კრიტიკის გამო თმენის ვალდებულება გააჩნია, რაც კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს იმ დროს, როდესაც იგი პროფესიულ მოვალეობას ასრულებს. საჯარო მოხელე მაქსიმალურად**



**უნდა შეეცადოს თავი შეიკავოს შეუფერებელი ქცევისგან, მით უფრო მიუღებელია ცალკეული მოქალაქეების ფიზიკური შეურაცხყოფა, ან კონფლიქტის პროვოცირება, რასაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჰქონდა ადგილი. მოვუწოდებ შესაბამის ორგანოებს, სათანადო რეაგირება მოჰყვეს ბესო გაზდელიანის მიერ ჩადენილ სამართალდარღვევას, ხოლო, მეორეს მხრივ, მივმართავ ყველა საჯარო მოხელეს, დაიცვან პროფესიული სტანდარტი და იმოქმედონ მათი სტატუსის შესაფერისად, — ნათქვამია სახალხო დამცველის განცხადებაში.**

# სტიქიურ უბედურებაში მერიას ადანაშაულებენ

**როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე პარტია „ სალომე ზურაბიშვილი — საქართველოს გზის“ ერთ-ერთმა ლიდერმა მამუკა ბალიაშვილმა განაცხადა, მათ მიუღებლად მიაჩნიათ საკრებულოს საგანგებო სხდომის გამართვა მხოლოდ ზარალზე სასაუბროდ, ხოლო წყალდიდობის გამომწვევ მიზეზებზე დუმილის გაგრძელება.**

**— თინა ხიდაშელი კოლეგებისაგან ითხოვდა იმ სატენდერო მასალების გასაჯაროებას, რომელიც სანიაღვრეების მოწესრიგებაზე ტენდერს ეხება, მსგავსი დოკუმენტები წესით საჯაროა, თუმცა რატომ მალავს მერია, გაუგებარია. ჩვენ შევძელით ხსენებული დოკუმენტების მოპოვება, 2 000 000-ლარიანი ტენდერი სანიაღვრეების ექსპლოატაციაზე ჩატარდა 2012 წლის 21 დეკემბერს, მერიამ აღნიშნული მომსახურება შპს „თბილსერვის ჯგუფს“ დაუკვეთა, რომლის 100% წილის მფლობელი თავად თბილისის მერიაა, დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ სანიაღვრეებთან დაკავშირებით პრობლემები არსებობს, მერია კი პრობლემების ნაწილობრივ მოგვარებას 2012 წლის ბოლომდე აპირებდა, — განაცხადა მამუკა ბალიაშვილმა.**

**მისი თქმით, პარტიაში დარწმუნებულები არიან, რომ ხელისუფლებამ იცოდა საფრთხეები, მაგრამ არაფერი გააკეთა და პრობლემის მოგვარება წლის ბოლომდე გადადო.**

**ბალიაშვილი ამბობს, რომ სატენდერო კომისიას ტარიელ ხიზანიშვილი ხელმძღვანელობდა და ეს არ არის ერთი ტენდერი, რომელიც დარღვევებით ჩატარდა.**

**— 12 მაისს მომხდარში ჩვენ კიდევ ერთხელ ვადანაშაულებთ უგულავას უწყებას, ვაყენებთ მის პასუხისმგებლობის საკითხს და მოცემული სატენდერო დოკუმენტაციის საფუძველზე მოკვლევას ვითხოვთ, — განაცხდა ბალიაშვილმა.**

ინტერპრესნიუსი

## „აი, თანამშრომლობა“

# ევროკავშირის შემოთავაზებული დეკლარაციებიდან 40 უარყვეს

**2011 წელს ევროკავშირის მიერ შეთავაზებული 82 დეკლარაციიდან საქართველო 42-ს შეუერთდა, — ნათქვამია ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელების შესახებ ანგარიშში, რომელიც 2011 წელს მოიცავს.**

— 2011 წელს ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის 82 დეკლარაციიდან, რომელთან შეერთება საქართველოსთვის იყო შემოთავაზებული, საქართველო 42 დეკლარაციას შეუერთდა. 2011 წლის განმავლობაში საქართველოსთან ინტენსიური პოლიტიკური დიალოგი გაიმართა, მათ შორისაა ივნისში გამართული პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტის დიალოგი, ასევე, გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის ევროკომისრის ვიზიტი ივლისში და ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში უმაღლესი წარმომადგენლის ვიზიტი ნოემბერში, — ნათქვამია ანგარიშში და აღნიშნულია, რომ ევროკავშირსა და საქართველოს შორის ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში შემუშავებულ სამოქმედო გეგმას 2011 წლის 31 დეკემბერს გაუვიდა ვადა, თუმცა ევროკავშირი და საქართველო შეთანხმდნენ, რომ იქამდე გააგრძელებენ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის მოქმედების ვადას, სანამ ასოცირების შესახებ შეთანხმების თაობაზე მოლაპარაკებები საკმარისად განვითარებულ ეტაპზე არ გადავა.

ამასთან ერთად, ევროკავშირი ურჩევს საქართველოს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონს გადახედოს, ამავე ანგარიშში აღნიშნულია, რომ სეპარატისტულ რეგიონებში კონფლიქტების მოგვარების მიმართულებით საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა „ოკუპირებული ტერიტორიების ჩართულობის სამოქმედო გეგმის“ განხორციელების მიმართულებით, თუმცა „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის გამოყენება“ კითხვის ქვეშ აყენებს ჩართულობის პოლიტიკის ეფექტურობას.

ევროკავშირი რეკომენდაციას აძლევს საქართველოს, უფრო ინტენსიური გახადოს სეპარატისტული რეგიონების მიმართ ჩართულობისა და შერიგების/კონფლიქტების მოგვარების პოლიტიკა დე ფაქტო ხელისუფლებასთან პრაგმატული თანამშრომლობისა და ჩართულობისთვის ფინანსური რესურსების გამოყოფის გზით;

# ქონებრივი უფლებების დაცვის საკითხით შეშფოთებული არიან

**ევროკავშირის მზარდ შეშფოთებას იწვევს საქართველოში ქონებრივი უფლებების სრულად დაცვის საკითხი, — ნათქვამია ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელების შესახებ ანგარიშში, რომელიც 2011 წელს მოიცავს.**

**ანგარიშში აღნიშნულია, რომ საკითხს კიდევ უფრო ის ართულებს, რომ არ ხდება მოსახლეობასთან შეთანხმება და მისი სათანადოდ ინფორმირება ადგილობრივი განვითარების იმ გეგმების შესახებ, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანების ცხოვრებაზე.**

— მზარდ შეშფოთებას იწვევს საქართველოში ქონებრივი უფლებების სრულად დაცვის საკითხი. ახლახან წარმოიშვა მნიშვნელოვანი რაოდენობის დავები, რომელიც უკავშირდება იმ მიწის ფლობის საკითხს, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ტრადიციულად იყენებდა. ეს დავები მიწის კანონიერი მფლობელობის არარსებობამ თუ მისმა ბუნდოვანებამ გამოიწვია. საკითხს კიდევ უფრო ის ართულებს, რომ არ ხდება მოსახლეობასთან შეთანხმება და მისი სათანადოდ ინფორმირება ადგილობრივი განვითარების იმ გეგმების შესახებ, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანების ცხოვრებაზე, — ნათქვამია ანგარიშში.

## გაპიარებული და თეატრალური ქვეყანა

# „უტიფართა მზე“ – დამშრალი ლაზიკა და დატბორილი თბილისი



**ეჰ, რას ნიშნავს არაინფორმირებულობა!**

საკმარისია, ჩამოხვიდეთ მსოფლიოს „ყველაზე განათლებული“ და „ყველაზე არაკორუმპირებული პოლიციის“ მდგრადად განვითარებადი ქვეყნის დედაქალაქის, თბილისის აეროპორტში, და თქვენ შეგიძლიათ, დედამიწაზეც აღმოაჩინოთ სამოთხე. ამისთვის კი მხოლოდ რამდენიმე რამაა საჭირო – უყუროთ მხოლოდ ნაციონალური მასშტაბის არხებს – საზოგადოებრივ არხს, „იმედს“, „რუსთავი-2“-ს, გაეცნოთ თბილისის მერიის ვებგვერდს www.Tbilisi.gov.ge და მონუსხოთ თქვენი ცნობიერება უფასოდ გავრცელებული უმაღლესი პოლიგრაფიული ხარისხის ჟურნალით – „თბილისური ამბები – ასე აშენდება თბილისი“...

ამ ჟურნალში ნახავთ თბილისით მოხიბლულ უცხოელ სტუმართა შთაბეჭდილებებს – ჯონ მალკოვიჩი, მონაკოს პრინცი ალბერ II... მოდიან უცხოელები... თურმე 2011 წ. 2,8 მილიონი ტურისტი ჩამოსულა, აქედან 95% – თბილისში, „ექსპერტთა გათვლით, 2012 წ. 5 მილიონი ტურისტი ჩამოვა“ (ეს ექსპერტები ვასილ ჭყოიძისა და მიშა თავხელიძის კვალიფიკაციისა და პირუთვნელობის სტანდარტის მატარებლები იქნებიან, მაგრამ who cares...ძ, და რა გასაკვირია, რომ ტურისტს თვალს ჭრიდეს შეღებილი სახლები, მოოქროვილი შადრევნები, უკვე გარემონტებული თუ გადათხრილი ქუჩები, უამრავი რეკლამა, და ასობით რესტორანი და კაზინო, რაც მათ წარმატებული და სწრაფადგანვითარებადი ქვეყნის შთაბეჭდილებას უქმნის... მართლაც, ძველის ნგრევის და ახლის შენების ენერგია და ტემპები თუ ლიონ ფოიხტვანგერისა და პაბლო პიკასოს მასშტაბის ხელოვნებში სტალინისა და საბჭოთა კავშირის იდეალიზაციას შობდა, თანამედროვე ტურისტისაგან რატომ უნდა იყოს გასაკვირი დღევანდელი თბილისით და ნაცმოძრაობის „დემოკრატი“ ლიდერებით აღფრთოვანება?!

მაგრამ, ჩვენ რა ვქნათ – ჩვენ, – ვინც აქ ვცხოვრობთ და ტურისტებისაკენ სახით დადგმული მოოქროვილი „ტაშტის“ უკანა, დაჟანგულ და ობითდაფარულ მხარესაც მშვენივრად ვიცნობთ?

აგერ, ზემოთ ხსენებული ბროშურისთვის შექმნილი ის ფანტასტიური სქემა რომ ავიღოთ, სადაც შუაში რგოლზე „ტურისტი“ აწერია, ხოლო ირგვლივ კეთილდღეობის მანიშნებელი რგოლები და ფოტოებია... მოდით, გადავავლოთ თვალი:

**„სოფლის მეურნეობა და გადამმუშავებელი მრეწველობა“!.. ტურისტებს ეჭვიც არ ეპარებათ სარეკლამო ბუკლეტის ავტორთა კეთილსინდისიერებაში... და ჩვენ, მწარე გამოცდილების მქონეებს კი, იმწამსვე გვახსენდება დედანატირები და განადგურებული სოფლის მეურნეობა, სადაც უკვე კარტოფილის 95% და პომიდორის 70% თურქეთიდან შემოგვაქვს, გვახსენდება გლეხებისთვის წართმეული საძოვრები და სათიბები, 6-ჯერ შემცირებული ღორის სულადობა, ცეზარ ჩოჩელის მიერ მონოპოლიზებული სასაკლაოები და 8-დან 16 ლარამდე გაძვირებული ხორცი... ტურისტმა კი ეს არაფერი არ იცის! საყვარელია ტურისტი! საყვარლად მიამიტი!**

მეორე რგოლზე აწერია – „მშენებლობა და საშენი მასალების ინდუსტრია“. და ტურისტები ისევ გულმოწყალედ იღიმებიან და თავებს აკანტურებენ. **ჩვენ კი გვახსენდება „ცენტრ-პოინტის“ ზღაპრებით გატყავებული 6000 მენაშენე და მათგან წაგლეჯილი მილიონებით მოქველმოქმედე კდემამოსილ-ღვთისმოსავი ბანოვან-პარლამენტარი, გვახსენდება ხელისუფლების მიერ განადგურებული და მითვისებული სამშენებლო კომპანიები „არტი“ და „პრიზა“, გვახსენდება კეზერაშვილის ცოლის და ბოკერიას ცოლისდის მიერ უნებართვოდ და დილეტანტურად აშენებულ-დანგრეული „რუსთავი-2“-ის შენობა და იქ დაღუპული ორი ახალგაზრდა, რომელთა საქმეების გამოძიება მინისტრთა ცოლების დასაწყნარებლად სასწრაფოდ მიაფუჩეჩეს... გვახსენდება გიგა ბოკერიას მამის უეცრად აყვავებული და ტენდერწარმატებული სამშენებლო ფირმა... გვახსენდება ქუთაისში პარლამენტის ადგილზე მემორიალის სასწრაფოდ დასანგრევად ატეხილი პრეზიდენტი და ამ ატეხვას შეწირული უდანაშაულო დედა-შვილი... გვახსენდება, როგორ, რატომ და ვისთვის მიმდინარეობს „ძველი თბილისის ახალ ცხოვრებად“ მონათლული რეაბილიტაციური პროექტები და რას „საქმიანობენ“ ძველი თბილისის რეაბილიტაციის საბაბით გიგი უგულავას მიერ შექმნილი და მისი ნათესავების (ქვისლის – გიორგი ღონიაშვილის), ახლობლების და თანამშრომლების მიერ დაფუძნებული ფონდები... გვახსენდება, რომ ქვეყანაში ყველა სახელმწიფო მშენებლობის ტენდერს ხელისუფლების ათიოდე დაახლოებული პირიდან რომელიმე იგდებს ხელში...** გირჩევთ, აუცილებლად ნახოთ ნანა ბიგანიშვილის შესანიშნავი ჟურნალისტური გამოძიება – „გაუმჭვირვალე რეაბილიტაცია“

ძნელია ამის ნახვისას მიამიტური ღიმილი შეგრჩეს სახეზე...

**შემდეგი მომნუსხველი რგოლი – „რესტორნების ინდუსტრია“! რა გემრიელი და ნოყიერი რგოლია, ტურისტებში რომ მომენტალურად ნერწყვის გამოყოფას იწვევს... ინდუსტრია, რომელიც სააკაშვილის ახლობელი ძმები შარანგიების GMC ჯგუფმა, უგულავას ახლობელი მინისტრის და მისი ძმა რურუების „Two Minutes“-მა და პარლამენტარ გეგენავას M-გრუპ-მა და „ნუგეშმა“ გაინაწილეს.**

ტურისტების გულისგამხარებელი მორიგი რგოლი – „სასტუმრო ინდუსტრია“! **აბა, ტურისტებმა რა იციან, რა მეთოდებით გამოდევნეს „რედისონ ბლუდ“ ქცეული „ივერიიდან“ ლტოლვილები? როგორ დაანგრიეს ქალაქის ცენტრში თაბუკაშვილის ქუჩაზე მრავალსართულიანი სახლი, რომლის ტერიტორიის მითვისება სახელმწიფო მოხელეებს „კემპინსკის“ ასაშენებლად და საკუთარი გამდიდრებისათვის უნდოდათ? ან როგორ მოიცვა საქართველო 2004 წლიდან დღემდე ათასობით საკუთრების მეპატრონის მიერ თავიანთი ნაკვეთების და უკვე აშენებული სასტუმროების სახელმწიფოსათვის მოულოდნელად ჩუქების არნახულმა და აუხსნელმა ეპიდემიამ.**

„საგზაო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა“. საქართველო გზებს აშენებს! თუ წინა 30 წელიწადს შევადარებთ, ალბათ 100-ჯერ უფრო მეტი გზა დაიგო ახლა, მაგრამ თუ გაწეულ ხარჯებს გავითვალისწინებთ, გამოდის, რომ საქართველოში გზები არც ისე უხვად და სწრაფად შენდება, როგორც ტურისტებს შეიძლება მოეჩვენოთ. **თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთსადაიმავე გზებზე ხშირად რამდენიმე წყაროდან და ფონდიდან პარალელურად იხარჯებოდა ფული (ათასწლეულის გამოწვევის ფონდი, მუნიციპალური განვითარების ფონდი, პრეზიდენტის ფონდი, „ქართუ ფონდი“ და ა.შ.), მოსალოდნელია, რომ მიუკერძოებელი აუდიტის პირობებში ისე აღმოჩნდეს, რომ საქართველოში 1 კვ.მ გზის დაგება გაცილებით ძვირი დამჯდარა, ვიდრე ამერიკასა თუ ინგლისში... და რომ ეს ლამაზი ბლეფიც – „საქართველო – გზების მშენებელი ქვეყანა!“ მორიგი სატყუარაა, სინამდვილეში უნდა იყოს – „საქართველოს ხელისუფლება – გზების მშენებლობებიდან მოტეხილი ფულით მსოფლიოს ჩემპიონი და გინესის რეკორდსმენია!“**

სქემაში ნახსენებია „საბანკო სისტემა“ (სადაც მხოლოდ სააკაშვილისთვის საარჩევნო კამპანიის დამფინანსებელი ბანკები ძოვენ, ხოლო „ქართუ ბანკისათვის“ სპეციალურად დრაკონული კანონები და რეგულაციები დაამკვიდრესძ, „ჯანდაცვა“ **(სადაც სიმბოლურ ფასად კარის ბიზნესმენ ფარმაცევტებისათვის გადაცემული და ახლა უკვე გაფურჩქნილი დიდი ლამაზი კერძო ჰოსპიტლების ფონზე აქა-იქ სოკოსავით მომცრო 15-30-საწოლიანი ასევე კერძო სადაზღვევო კომპანიების კლინიკები იწონებენ თავს, ოღონდ იქ ვერავინ შედის, სიძვირის და პერსონალის ნაკლებობის/არაპროფესიონალიზმის გამო)** და „ელექტრონული ტექნოლოგიები“, **(რომელთა დანერგვის ძირითადი მოტივაცია საქართველოს მთავრობის მიერ ყველა მოქალაქის და კომპანიის შემოსავლების უმკაცრესი კონტროლი გამხდარა, რათა მერე ამ შემოსავლების მიხედვით მოწველონ ნაცმოძრაობის არალეგალური საარჩევნო ყულაბის შესავსებად. ახლა კი პრეზიდენტის ახალი ფანტასმაგორიული ახირება – ჰოლოგრამული 33 მინისტრები და ვირტუალური სამთავრობო სხდომები იქნება ამ ტექნოლოგიების ახალი, „ნაცური“ გასხივოსნება).**

დაბოლოს – „უსაფრთხოების სისტემა“!

„საქართველო ყველაზე უსაფრთხო ქვეყანაა! აქ მანქანებს არ იპარავენ! აქ მოქალაქეებს არ ქურდავენ და არ ძარცვავენ! აქ თქვენი საკუთრება უმაღლეს დონეზეა დაცული! მშვიდად იყავით, ქართული პოლიცია თქვენ დაგიცავთ კრიმინალებისაგან!“

მაგრამ, თუ ეს ასეა, **რატომ მოხდა, რომ ECA International-ის კვლევის თანახმად, საქართველოს დედაქალაქმა 400 ქალაქიდან საცხოვრებლად ყველაზე სასურველის რანგში მხოლოდ 199-ე ადგილი დაიკავა?** ამ კვლევაში ხომ უსაფრთხოების დონე ერთ-ერთი ყველაზე მთავარი კრიტერიუმი იყო? რას ნიშნავს „უსაფრთხოების სისტემა“ ქვეყანაში, სადაც მთავარი საფრთხე სწორედ პოლიტიზებული ძალოვანი სტრუქტურებისაგან მოდის? ქვეყანაში, სადაც მიტინგების დაშლა სადამსჯელო ოპერაციებად აქციეს და მომიტინგეებს ალყაში აქცევენ, და წინააღმდეგობის გაწევის შემდეგაც კი უმოწყალოდ ურტყამენ? **რა შეიძლება ითქვას „უსაფრთხოების სისტემაზე“, სადაც ათობით პოლიტპატიმარი და სამსახურებიდან პოლიტიკური პოზიციის გამო ასობით განთავისუფლებული ადამიანია? რამდენად უსაფრთხოა ქალაქი, სადაც მოსახლეობის D-ს სჯერა, რომ მას უსმენენ და სადაც მიტინგის შემდეგ მაღაზიების სახურავებზე „დენით გარდაცვლილ“ ხელფეხშეკრულ გვამებს ნახულობენ? ქვეყანა, სადაც სახალხო დამცველი გამუდმებით ლაპარაკობს ციხეებში წამების ფაქტებზე, რომლებიც მუდამ გამოუძიებელი რჩება... ციხეები, სადაც პატიმართა რაოდენობა ბოლო 8 წელიწადში 4-ჯერ გაიზარდა და მსოფლიოში „ამ მაჩვენებლით“ ლიდერის პოზიცია დაიკავა, ხოლო ერთი წლის განმავლობაში 140 პატიმარი (მათი უმრავლესობა – 40 წელზე უფრო ახალგაზრდა) გარდაიცვალა, ზოგჯერ იმ ვითარებაში, როცა მათ სხეულზე ძალადობის კვალია. ქვეყანა, სადაც პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მყოფი პატიმარი “კიბიდან ვარდება“ და იღუპება, ხოლო მის ოჯახს მხოლოდ 8 საათის შემდეგ ატყობინებენ... სადაც ჟურნალისტებს ხელს უშლიან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში, მასალებს ართმევენ, ფიზიკურად შეურაცხყოფენ და დასაშინებლად ჯაშუშობის ბრალდებას თუ სხვა დამამცირებელ ან ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას იყენებენ, და ყველაფერი ეს რჩება აბსოლუტურად გამოუძიებელი და დაუსჯელი!!!...** ეს არის „უსაფრთხოების სისტემა“? ეს არის ის ქვეყანა, სადაც პოლიციას თურმე შეიძლება 87%-იანი რეიტინგი ჰქონდეს? ის რეიტინგი, რომელიც დემოკრატიული ქვეყნების პოლიციის უფროსებს არ დაესიზმრებათ?

მაგრამ არის ამ საკითხის კიდევ ერთი ასპექტი, რომელიც აქამდე ნაკლებად გვაწუხებდა თითქოს – ბუნებრივი კატასტროფები და საქართველოს მოქალაქეების დაცულობა.

შარშან მაისში მთელ საქართველოში კოკისპირული წვიმების გამო მოხდა სერიოზული მსხვერპლი რიკოთის უღელტეხილზე და სასწაულად გადავრჩით, რომ სპორტსმენი ბავშვებით სავსე ავტობუსი ლაფმა გააჩერა და ღვარცოფმა მდინარეში არ მოისროლა. ეკოლოგიური და ბუნებისდამცველი ორგანიზაციები საქართველოს ხელისუფლების მხრიდან გამართული პოლიტიკის არარსებობაზე, ხოლო რიგი ექსპერტები – საგზაო სტრუქტურების უსაფრთხოების გეგმების არარსებობაზე ლაპარაკობდნენ. მაგრამ რაიმე გაკეთდა? – გარდაცვლილები დაასაფლავეს, გზები გაასუფთავეს, გვირაბი შეაკეთეს და პრობლემა დაივიწყეს...

რაიმე გაკვეთილი საქართველოს მთავრობამ შარშანდელი ტრაგედიიდან გამოიტანა? ის კი არა, „გაგვახარა“ 15 დიდი ზომის ჰესის სასწრაფოდ და გარემო უსაფრთხოების სათანადო დასკვნის გარეშე მშენებლობის მათთვის ჩვეული ავრალური დაწყებით, გასაიდუმლოებული სამუშაო გეგმით, და **როგორც ყოველთვის, გარემოს დამცველი მინისტრის გამაოგნებელი უვიცობით, რომელიც ვიდეოჩანაწერში აღიარებდა, რომ ჰესების უსაფრთხოება გარანტირებული არ არის, მაგრამ სჯერა, რომ ყველაფერი კარგად იქნება, რადგან ეს საჭირო საქმეა.!** საჭიროება კი მხოლოდ ერთია, 15-ვე ჰესი თურქეთის და არა საქართველოს ინტერესებს ემსახურება. ამ უზარმაზარი რესურსების ამოქმედების შემდეგ ელექტროენერგიის ტარიფიც კი არ დაიკლებს! ხოლო რიგ წყალუხვ რეგიონში, მაგალითად ქუთაისში, სადაც სადღეისოდ წყლის ტარიფი გაზის ფასს უტოლდება (!!!ძ, არაა გამორიცხული, რომ ხელისუფლებამ წყალზე ტარიფი კიდევ უფრო გაზარდოს! **განვლილ წელიწადში ასევე გამოცხადდა აბსოლუტურად ირეალური თუ სიურეალისტური საუკუნის მშენებლობის – ნახევარმილიონიანი ქალაქ ლაზიკის პროექტი, რომელიც შემდეგ ინვესტორებისაგან ქურდულად მოპარული და მთავრობის სტილში „ნიუ-ვასიუკიდ“ უნიჭოდ გადაკეთებული პლაგიატი აღმოჩნდა...** მიმდინარეობს ხეების მასიური ჩეხვა და საზღვარგარეთ უკანონო გატანა, ტყეების და წყლების გასხვისება უცხოელებზე ათეულწლიანი კონტრაქტებით... მთავრობამ მიიღო დრაკონული პროექტი, რომელიც ნებისმიერ ინვესტორს, გარკვეული თანხის გადახდის სანაცვლოდ საქართველოს ბუნების, ფაუნის და საერთოდ ეთნოსის უპრობლემოდ განადგურების თამასუქს აძლევს!

და აი, ახალი ტრაგედია – თბილისში 12-13 მაისის ღამეს ძლიერი წვიმის შედეგად დაიტბორა ორთაჭალის დიდი ნაწილი, ასევე დიდუბის, საბურთალოს და დიღმის ტერიტორიები, სადაც მთელი ღამე მოსახლეობა პანიკაში იყო, გადაადგილება – პარალიზებული. საუბედუროდ, გარდაიცვალა 5 ადამიანი, მათ შორის 2 მცირეწლოვანი ბავშვი – ოჯახი გორის რ-ნის სოფ. შავშვებიდან, რომლებიც თბილისში თავის ახლობელთან იყვნენ სტუმრად. სავარაუდოდ, მსხვერპლი და ორთაჭალის მასიური დატბორვა გამოიწვია კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის ტერიტორიაზე ხელოვნური ტბის კოლექტორის და არხების სისტემის გაუმართაობამ, როდესაც უეცრად მოვარდნილმა წყალმა ჯერ ტბის დამცლელი სარეზერვო არხი ჩახერგა ნაგვით, ხოლო შემდეგ ტბამ ჯებირები გადმოანგრია და მასიური წყალდიდობა გამოიწვია.

იხ. 4 გვ.

## გაპიარებული და თეატრალური ქვეყანა

# „უტიფართა მზე“ – დამშრალი ლაზიკა და დატბორილი თბილისი

(მესამე გვერდიდან)

უცხოური მედია – აშუქებს თბილისში სტიქიური უბედურების კადრებს („ასოშიეტედ პრესის“ მიერ გავრცელებული საინტერესო ფოტოები შაჰინ აივაზოვს ეკუთვნის, იმ ფოტორეპორტიორს, რომელიც 1 წლის წინ „ჯაშუშების საქმეზე“ შეთითხნილი ბრალდებით მცირე ხნით დააკავეს, მაგრამ აშშ ელჩის ჩარევის შემდეგ გაანთავისუფლეს).

აი, რას წერს ფეისბუქზე გიორგი ჩიქოვანი, რომლის კითხვებს ხელისუფლების მიმართ სრულად უნდა ვიზიარებდეთ და სწორედ ამ კითხვებზე პასუხის გაცემის შედეგად უნდა დადგინდეს, ვისი ბრალი იყო 2012 წლის 12-13 მაისის ღამის მსხვერპლი და ქალაქისათვის მიყენებული დიდძალი მატერიალური ზარალი:

**„მაინტერესებს, ვინ გაიმარჯვა თბილისის მერიის მიერ სანიაღვრე ქსელების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით ჯერ კიდევ 2008 წლის იანვარში გამოცხადებულ ტენდერში და დღემდე ვინ არის პასუხისმგებელი სანიაღვრე ქსელების მომსახურებაზე, რაც უნდა მოიცავდეს:**

**1. სანიაღვრე კოლექტორების და სათავე ნაგებობების შემოწმებას, გვერდმიმღებების გაწმენდას,**
**2. სანიაღვრე და საკონტროლო ჭების გაწმენდას,**
**3. დრენაჟებზე საკონტროლო ჭების გაწმენდას,**
**4. სათავე ნაგებობების და კიუვეტების გაწმენდას,**
**5. გადამაერთებელი სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების დამუშავებას მავთულით,**
**6. სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების გარეცხვას,**
**7. გატეხილი და დაზიანებული ცხაურების, გვერდმიმღებებისა და საკონტროლო ჭების შეცვლას ახლით,**
**8. სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელებზე დაზიანებული ჭების შეკეთებას,**
**9. დიდი წვიმების დროს სანიაღვრე ცხაურებზე მიტანილი ნაგვის დროულ გაწმენდას,**
**10. სანიაღვრე ჭებიდან დანალექი ლამის გატანას ნაგავსაყრელზე 15-20 კმ-ს მანძილზე,**
**11. ღია არხების გაწმენდას.**

**პასუხი, სავარაუდოდ არ იქნება!**

საქართველოს პრეზიდენტი, რომელიც 12 მაისს ბათუმში ეუთოს ეკონომიკურ ფორუმზე დიდი ხნის გაცვეთილ არღანს ატრიალებდა საქართველოს ეკონომიურ სასწაულზე, არნახულ ტემპებზე, მომხიბვლელ ქართველ ფოტომოდელ-მებაჟეებზე, 13 მაისს დღის მეორე ნახევარში თბილისში გამოჩნდა, ორთაჭალის მოსახლეობას მიუსამძიმრა, თავისი წუხილი გაანდო და პრობლემის გადაწყვეტის მისეული გეგმაც გაგვიზიარა (მოწოდებულია „ინტერპრესნიუსის“ მასალების მიხედვით).

როგორც პრეზიდენტმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, თბილისის მასშტაბით უნდა დაიწყოს ყველა, ე.წ. ბარაკის აღწერა და ამის შესახებ ის უკვე ესაუბრა დედაქალაქის მერს, გიგი უგულავას.

მიხეილ სააკაშვილის თქმით, თბილისში ხალხი ჩამოდის სოფლიდან და ხშირ შემთხვევაში ასეთ ადგილებს ქირაობს, ზოგი გირაოში დებს თავის ბინას და „ბარაკებში“ ქირაობს, ზოგი ბინას კარგავს და შემდეგ ასეთ პირობებში ხვდება.

„ჩვენ უნდა აღვწეროთ ეს „ბარაკები“. უნდა გავაკეთოთ პროგრამა, თუნდაც რამდენიმე წელზე გაწერილი, იმისთვის, რომ თბილისში „ბარაკები“ აღარ იყოს. კი, მე მესმის, რომ ჩამოდის ხალხი, კი, მესმის, რომ სამუშაოს მაძიებელია, კი, მესმის, რომ სხვადასხვა ცხოვრების პირობები შეიძლება იყოს, მაგრამ, რაღაც უნდა გავაკეთოთ, რომ ასეთ პირობებში არსად არავინ ცხოვრობდეს“, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

მისივე თქმით, მას ეშინოდა, რომ ზამთარში უხვად მოსული თოვლის შემდეგ, რეგიონებში არ მომხდარიყო წყალდიდობა. „მაგრამ, მოულოდნელად პირდაპირ თბილისის ცენტრში დაგვარტყა“, – დასძინა პრეზიდენტმა.

უყურე, შენ!! – ეშინოდა, თურმე!

ნერვიულობდა... გუდაურის და მესტიის კალთებზე დაცვის რკალით შემოსარტყული ნებივრად მოსრიალებს-თქო, ჩვენ ვფიქრობდით, და მას კი, თურმე, შიშით აცახცახებდა! რეგიონების ბედით შეშფოთებული ბათუმის და სიღნაღის რესტორნებსა და ბარებში იფრთხობდა თვალზე მოძალებულ რულს და ჩვენ გვეგონა, „დაბოლილი“ იყო! სწორედ იმიტომ გარბოდა წამდაუწუმ თბილისიდან, რომ რეგიონებში ელოდა სტიქიის შემოტევას და სურდა, ისევ ისე ეპიცენტრში ყოფილიყო და ისევ ისე მიეშვირა თავისი მთრთოლვარე მკერდი საფრთხისათვის, როგორც ადრე რუსის ავტომატისათვის – განმუხურში და... ამ ოხერმა სტიქიამ კი, როგორც რუსებივით მოულოდნელად და მუხანათურად სწორედ მაშინ და იქ დაარტყა, სადაც არ ელოდა! აბა, რას წარმოიდგენდა?

რას წარმოიდგენდი, მამავ და მარჩენალო? რას წარმოიდგენდი, როცა შენი თვალუწვდენელი ფანტაზიები ანაკლიიდან სოხუმისკენ მიმართულ (ერთხელ უკვე წაღებულ და მაინც აღდგენილ) ხიდზე ოცნებებს და ლაზიკის ჭაობებიდან ამოწვდენილ ულტრათანამედროვე ცათამბჯენების მაკეტებს ეთამაშება? სად გაქვთ შენ და შენსავით „ჭკუადალაგებულებს“ და „სინდისდავარცხნილებს“ იმის დრო და საშუალება, რომ კოლექტორებზე, სანიაღვრე არხებზე, ხელოვნური ტბორების ჯებირების სარემონტო სამუშაოებზე, სამაშველო სამსახურების სტრატეგიულ განვითარებაზე და ტექნიკით მომარაგებაზე და სხვა მსგავს პროზაულ და ძნელადგასაპიარებელ ამბებზე იფიქროთ? სად გცალია შენ ამ ბარაკებში მონებივრე ურჩი მენაშენეების მდგომარეობაზე საფიქრელად, როცა ამდენი „ჯასთ დრაივია“ ასაგები და „ჯასთ ყავები“ შესაკვეთი? რა ჰქნას შენმა მირაჟში გაჭენებულმა ცნობიერებამ, რომელსაც ჰოლოგრაფიული 3D მინისტრების კაბინეტის ფორმირება და ვირტუალური საპარლამენტო მოსმენები, ხოლო სასთუმალთან ზოგიერთი მინისტრის გამოსაძახებელი WiMax კნოპკები ელანდება? რა დროს წყალდიდობა და წვიმა იყო ამ წინასაარჩევნოდ, როცა წინა დღეს მთელ მსოფლიოს აცნობე, რომ ქართველები თურმე 4,7 მილიონი გავხდით (ნეტა რომელმა ჩიტმა მოგიტანა ეს ამბავი?! თუმცა, აბა, საარჩევნოდ დაგეგმილ 4 მილიონ ამომრჩეველს ხომ უნდა წინასწარ „გაპრავება“!) და რომ, თურმე, ქართული დემოკრატიის ყველაზე დიდი მიღწევა საზღვარზე მებაჟეებად გაწესებული სუპერსექსუალური და მომხიბვლელი ქართველი გოგონებია!

მოკლედ, აქ ყველაფერი გასაგებია – არ ეცალა კაცს, ახლა მოიცალა და აგერ ნახეთ, თუ რომელიმე ბარაკი სადმე გადარჩეს! ხოლო ყველა ბარაკდანგრეულს, წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში რომ ბარაკთან ერთად ცხვირსაც რომ მიუნგრევენ და კრედიტებს რომ სასწრაფოდ აალებინებენ, რათა გადახდაუუნარო მოვალეების შავ სიაში მოხვედრილ 260,000 მონობისათვის განწირულ ადამიანსა და ოჯახებს კიდევ 30,000-50,000 რომ დაუმატონ, ამაში ეჭვი მხოლოდ ტურისტებს შეიძლება ეპარებოდეთ, მიამიტებს...

აი, რას ამბობს ჩვენი დემოკრატიის მეორე (ამომავალი) უტიფარი „მზე“ – ქალაქის მერი გიგი უგულავა, რომელმაც სულ რაღაც 2 კვირის წინათ „მსოფლიოს უდიდესი მშენებლის“ დონალდ ტრამპის აღფრთოვანება და პირისდაღებამდე მისული განცვიფრება გამოიწვია. სწორედ ის გიგი უგულავა, რომელმაც თავის ქვისლს ათეულმილიონობით ქონება დაუმტკიცა აღდგენილ აღმაშენებელზე, ხოლო თავისი თანამშრომლებისაგან უყოყმანოდ შეიძინა 1000-1000-ლარიანი კვიპაროსები (რომელთა რეალური ფასი მხოლოდ 30-30 ლარი იყო)... განსაცვიფრებლად კრისტალური გიგის გამონათქვამები:

თბილისის მერმა გიგი უგულავამ 13 მაისს, „კურიერის“ პირდაპირ ეთერში განაცხადა: **„ღამე ვრცელდებოდა ინფორმაცია თითქოს სამთავრობო რეზიდენციაში არსებული ტბა გასკდა. ეს ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს. მე თვითონ ღამე 4 საათზე ვიყავი და ვნახე, დავათვალიერე. ეს (ტბა) დახურული ტერიტორიაა დღესაც, მაგრამ იქ ამის ნიშნები არ შეინიშნებოდა. ახლა მიმდინარეობს სამუშაოები, რომ სრულად დადგინდეს“.**

რამე ხომ არ გაგახსენდათ, ჩემო კარგებო? ტურისტებს არ გაახსენდებოდათ, მაგრამ თქვენ მაინც არ გაგახსენდათ 2009 წლის 26 აპრილის საზარელი ღამე, როცა სანდრო ეულის ქუჩაზე „რუსთავი-2“-ის „ვარსკვლავების აკადემიის“ შენობა მთლიანად ჩამოინგრა და ორი ახალგაზრდა ოპერატორი იმსხვერპლა? გახსოვთ, რა ელვის სისწრაფით გაჩნდა მაშინაც ადგილზე ქალაქის მერი გიგი უგულავა და კიდევ უფრო უსწრაფესად რა ექსპერტული დასკვნა გააკეთა ცისკრის პირველ სხივებამდე პროფესიით თეოლოგმა და რწმენით მარკშეიდერმა გიგიმ? **უგულავამ განაცხადა, რომ გაოგნებულია მომხდარით. „ეს იყო კაპიტალური შენობა, მის ერთ ნაწილში კოსმეტიკური რემონტი მიმდინარეობდა, თუმცა არა მგონია, რომ ეს გამხდარიყო შენობის დანგრევის მიზეზი, რადგან რემონტი მზიდ კედლებს არ შეხებია“.**

და მერე ხომ ყველასთვის (ტურისტების გარდა) აშკარა გახდა, რომ შენობის რემონტი ძალიანაც არაკოსმეტიკური იყო და სწორედაც რომ მზიდ კონსტრუქციებს (კერძოდ – საყრდენ კოლონებს) შეეხო, რომელთა დიდი ნაწილი აბსოლუტურად უმეცრულად მოანგრიეს, რამაც შენობის ხუხულასავით ჩამოშლა გამოიწვია... ისიც ხომ აშკარა გახდა, რომ დანგრევიდან რამდენიმე წუთში ასეთი „ექსპერტული შეფასება“ საკუთარი თანაგუნდელების და უცებ გაბიზნესვუმენებული ქალბატონების – კეზერაშვილის ცოლისა და ბოკერიას ცოლისდისთვის ალიბის შეკერვის მცდელობა იყო მხოლოდ?! აქედან გამომდინარე, რაღაც გონივრული ეჭვი მიჩნდება, რომ **ორთაჭალის მოსახლეობის ის გამაუბედურებელი ტბა, ან მისკენ მიმავალი ის კოლექტორები თუ არხები შეიძლება რომელიმე სამთავრობო მაღალჩინოსანს ან მათი ოჯახის წევრს ეხება (კეზერაშვილს? ბენდუქიძეს? ბოკერიას? ადეიშვილს?) და ბატონი გიგი ისევ „პალოჩკა-ვირუჩალოჩკის“ ჩვეულ როლს ასრულებს ექს-სტიქაროსნული გულმოწყალებით შეჭურვილი... და რატომ იყო უგულავასთან ერთად ღამით გამოსული ხათუნა კალმახელიძე, რა ხდება ორთაჭალის ციხეში და სასჯელაღსრულების დეპარტამენტში? რამდენად დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ თუ პატიმართა შორის მსხვერპლი იყო, ამას ჩვენი „ანგელოზი“ მინისტრი გულახდილად მოგვიყვება?..**

„ღამის 4 საათზე, ადგილობრივი მოსახლეობის თქმით, იძაურობა უკვე დატბორილი იყო. ადგილობრივი მოსახლეობა ამბობს, რომ საგანგებო სიტუაციათა სამსახურის წარმომადგენლებიც მიმდებარე ტერიტორიაზე ოპერატიულად მივიდნენ, თუმცა, წყალსაცავიდან მოვარდნილმა ღვარცოფმა გარე განათება გათიშა და ისინიც ვერაფერს აკეთებდნენ.“

ახლა ხომ ყველაფერი გასაგებია – **მსხვერპლი თურმე გამოიწვია ბარაკებმა და ბარაკებში ჩასახლებულმა მოსახლეობის უცოდინრობამ... ტბის ჯებირები არ დანგრეულა... მერე იტყვიან, რომ ტბა საერთოდ არცა ყოფილა... სამაშველო სამსახურები მედგრად იბრძოდნენ (ამაში ვეთანხმები ხელისუფლებას, თუმცა ვფიქრობ, ეს ბრძოლა გაცილებით წარმატებული იქნებოდა, წინასწარ ვინმეს რისკების დათვლა და ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოები რომ ჩაეტარებინა), საქართველოს მთავრობა ყველაფერს გააკეთებს, რომ უკლებლივ ყველა ბარაკი დაანგრიოს და ხალხს სასწრაფოდ კრედიტები აალებინოს... ხოლო ვინც კრედიტებს ვერ აიღებს, იქ დაბრუნდება, სადაც ბარაკები ბედნიერი საქართველოს იმიჯს ვერ გააუარესებს...**

საქართველო უნდა იყოს ის, რასაც სამთავრობო ტელევიზიები გადმოსცემენ... მხოლოდ მაშინ გვეყოლება 5 მილიონი ბედნიერი ტურისტი, თუნდაც – 4 მილიონი პირაკრული, დამუნჯებული და დაყრუებული ქართველის ხარჯზე.

**ბუნებრივი კატასტროფები სხვაგანაც ხდება, გაცილებით უფრო მოწესრიგებულ ქვეყნებში. განსხვავება იმაშია, რომ სააკაშვილის ხელისუფლება არასოდეს აღიარებს თავის პასუხისმგებლობას, არასოდეს აკეთებს რაიმეს უბედურების პრევენციისათვის, არასოდეს იკლებს სახსრებს იმ პროექტებიდან, რომელიც ან პირადად მათთვის მომგებიანია, ან მაგრად „ბრჭყვინავს“, – იმ პროექტების სასარგებლოდ, რომელიც ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია... და მაშინაც, კი, როდესაც უბედურება ხდება, უსინდისოდ იტყუება, იტყუება, იტყუება...**

**სოლომონ თერნალი,**

Presage.tv



***P. S.* ჩემი სამძიმარი დაღუპულთა ოჯახებს და ჩემი თანაგრძნობა ყველა ჩვენთაგანს, ვისაც ამ უგვანი ხელისუფლების ატანა კიდევ რამდენიმე თვე მოგვიწევს... და იმაზეც იფიქრეთ, რა მოხდება, თუ ეს უტიფრები და უცოდინრები 15 დიდ ჰესს ააშენებენ. თითოეულ ამ ჰესს ხომ კრწანისის ხელოვნურ ტბაზე 1000-ჯერ ან 10000-ჯერ უფრო დიდი წყალსაცავი ექნება...***

***P. P. S.* როდესაც ღამენათევი და ნამთვრალევი (სავარაუდოდ) მიხეილ სააკაშვილი ტრაგედიიდან 12 საათის შემდეგ ორთაჭალაში დაზარალებულ მოსახლეობას ეწვია და მდგომარეობის გამოსასწორებლად ბარაკების უსწრაფესი აღება დასახა გეგმად, ხოლო უსახლკაროებს დროებითი თავშესაფრის გამოყოფას დაპირდა, ნამდვილად ცოტა მეგულება ადამიანი, რომელიც გამოიცნობდა, რომ ამ დროს მიხეილ ნიკოლოზის ძე სააკაშვილს თვითმფრინავი უკვე „შეკაზმული“ ჰქონდა და სულ რაღაც 6 საათში სლოვენიაში საქართველო-ნიდერლანდების ახალგაზრდული ნაკრებების ნახევარფინალზე მოგვევლინებოდა თავის სამაგალითო სპორტის მინისტრთან ერთად! ის ბედნიერი და ნეტარი სახეები, რომლითაც ორივე ახალგაზრდა პოლიტიკოსი ფეხბურთს უცქეროდა საკმაოდ განსხვავდებოდა არამცთუ ქართველი ადამიანის იმიჯისაგან, როდესაც მის სახლში (მისთვის მმართველობაში ჩაბარებულ სახელმწიფოში!) ტრაგედია დატრიალდა და ახალგაზრდა დედის და ორი მცირეწლოვანი ბავშვის ცხედრები დაუკრძალავი იყო, არამედ ანალოგიურ სიტუაციაში ევროპელი პოლიტიკოსის იმიჯისგანაც... სწორედ ამიტომ გერმანული ტელეარხის კომენტატორმა თავი ვერ შეიკავა და თავისი გაოცება გამოთქვა – ამის სამშობლოში დღეს წყალდიდობა მოხდა, ხალხი დაიღუპა და ნეტა აქ რა უნდაო?***

***მართალი გითხრათ, არ მწყენია ბატონი მიხეილის საქციელი... მისგან წინხლი და ამგვარი ქცევა საწყენი არაა და თანაც რაც უფრო მეტი ადამიანი საზღვარგარეთაც გაიგებს მაგ კოკასა შიგან რა დგას, მით უკეთესი, თორემ სარეკლამო ბუკლეტების და პიარში დახარჯული მილიონების წყალობით ჯერ კიდევ დალაგებული ჰგონია ზოგიერთს ჩვენი უბედური ქვეყანა...***

**ს. თ.**

№91. ხუთშაბათი, 17 მაისი, 2012 წელი.

# ასლანზე გამარჯვების დღესასწაული

8 წელია მაისის პირველი დეკადა გაცილებით ფართო ანტიასლანური გამონათქვამებით აღინიშნება, ვიდრე დიდ სამამულო ომში გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი პატივსაცემი სიტყვებით. გასაკვირი არაფერია, ვინაიდან ნაციონალური ხელისუფლება რვაწლიანი აღვირახსნილობის დროს სისტემატურად გამოხატავს საკუთარ ნეგატიურ დამოკიდებულებას ფაშიზმზე გამარჯვების აღსანიშნავი დღისადმი, საერთოდ ფაშიზმისადმი. გახსოვთ ალბათ, ერთ მომენტში ხელისუფლების მსოფლმხედველობა იმდენად დაუახლოვდა მეგობარი ბალტიისპირა ქვეყნებისას, რომ ბალტიისპირელთა მსგავსად ლამის ფაშისტთა პარადზეც იფიქრეს.

„დემოკრატიული“ ევროპა – პირში წყალჩაგუბებული შესანიშნავად იტანს ლიტვურ, ლატვიურ თუ ესტონურ გამოწვევებს, მაგრამ შეუპოვრად იბრძვის რუსულ-ბელორუსულ ადამიანის უფლებათა დარღვევების წინააღმდეგ. დღეს ევროკავშირს ახალი თავსატკივარი აქვს – უკრაინელი ტიმოშენკოს დაცვის თვალსაზრისით. ევროპას არ აინტერესებს, არის თუ არა ქალბატონი იულია დამნაშავე, დაითრია თუ არა ფერმკრთალმა ლედიმ ტორტის უკანონო ნაჭერი. ევროპისთვის ის უდანაშაულო და ანკარა წყაროსავით სუფთაა, ვინაიდან თავისია, ანუ რუსეთის წინააღმდეგ მიმართული ნარინჯისფერი რევოლუციის ხელმძღვანელი.

უკრაინის იმჟამინდელი ხელისუფლის ძმა და მეგობარი სააკაშვილი არა მარტო ანტისაბჭოური გამოხდომებით იყო და არის ცნობილი. მას დიდი ღვაწლი აქვს შეტანილი ფაშიზმზე გამარჯვების განქიქების საქმეში. დიდების მემორიალის აფეთქება, სტალინის ძეგლის აღება და გაქრობა, სიტყვიერი შეურაცხყოფა სწორედ ის ხინჯია, რომელიც ქართულ საზოგადოებაში გაჩნდა და რომლის ამოძირკვას არაერთი წელი დასჭირდება. ამას ვერც წლევანდელი, საარჩევნოდ ნათქვამი სიტყვები უშველის, სააკაშვილმა რომ გაიმეტა 9 მაისთან დაკავშირებით და ვერც ვაკის პარკის მემორიალის გვირგვინებით შემკობა. ერთ დროს უდავოდ გრანდიოზული მემორიალი გაძარცულ-შეურაცხყოფილია, ისე, როგორც სამამულო ომში მონაწილე ვეტერანები, მთლიანად საქართველო.

9 მაისობა სააკაშვილის განცხადებებმა გადაფარეს, ცხადია არა ამ ზეიმთან, არამედ ასლან აბაშიძესთან მიმართებაში. ნაცები და მათი ლიდერი უკლებლივ ყოველ წელს აღნიშნავენ ასლანის „ბრჭყალებიდან“ აჭარის განთავისუფლებას. პრეზიდენტი პერმანენტურ რეჟიმში მოძღვრავს საზოგადოებას, რომ მან და მხოლოდ მან შეძლო საქართველოს იურისდიქციის აღდგენა, თითქმის წასულ აჭარაზე.

რითია აჭარის „დაბრუნება“ 9 მაისზე ნაკლები?! მავანი მეტყვის, ნაკლები კი არა, მეტიაო. აი, სწორედ ასეთ მავანზეა გათვლილი სააკაშვილის ფილოსოფია. თუ რუსეთს აქვს ფაშიზმზე გამარჯვების აღნიშვნის საბაბი, სააკაშვილსაც აქვს – ასლანზე გამარჯვების ზეიმი.

თუ რამდენად შეეფერება აჭარაში ცენტრის იურისდიქციის აღდგენა სინამდვილეს, სხვა საკითხია, მაგრამ ის, რომ ამით სააკაშვილი შეურაცხყოფს თურქეთის ულლიდან გათავისუფლებულ აჭარას, მიუტევებელი დანაშაულია.

ასლან აბაშიძისდროინდელი აჭარა არც სამხრეთით – თურქეთისაკენ და არც ჩრდილოეთით – რუსეთისაკენ იყო გადახრილი. აბაშიძე დღენიადაგ იღვწოდა იმ პატრიოტული საქმისთვის, რასაც ერთიანი საქართველო ჰქვია. მისი ოცნება იყო საქართველოს პარლამენტში უმრავლესობით მოსვლა, ნამდვილი ფედერალური სისტემის ჩამოყალიბება და არა ისეთი სუროგატის, რასაც დღეს აქვს ადგილი.

ის, რომ საქართველო კომუნისტური მმართველობის დროს ფედერალური მოწყობის რესპუბლიკად ჩამოყალიბდა ასლან აბაშიძე არაფერ შუაშია. მას ვერც ყარსის ხელშეკრულების გაფორმებაში შეიძლება დავდოთ ბრალი. ეს ყველაფერი მას დახვდა 1991 წელს აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩევის დროს.

ასლან აბაშიძე ვერც საერთაშორისო ხელშეკრულების (ყარსისძ წინააღმდეგ წავიდოდა და ვერც რუსეთ-თურქეთს შეეწინააღმდეგებოდა, ვინაიდან ეს ხელშეკრულება თვით შევარდნაძის მითითებით საქართველო-თურქეთის ჩარჩო ხელშეკრულების პრეამბულაში აღმოჩნდა. ერთადერთი, რაც მას დარჩა, იყო ავტონომიის დაცვა არა მარტო გარე ძალებისგან, არამედ „პატრიოტულად“ აზვირთებული ცენტრისგან.

მკითხველისთვის ცნობილია საქართველოში დაბრუნებული შევარდნაძის უნიტარისტული ამბიციები, ანუ ავტონომიების ცენტრიდან მართვის სურვილი. სხვაგვარად ფიქრი, მით უმეტეს მართვა, მას გაუჭირდებოდა. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პირველი მდივნისთვის საქართველოში ევროპული ფედერალიზმის დაშვება წარმოუდგენელი იყო. გარდა ამისა, არც მას და არც მის მიერ აღზევებულ ყოფილ კომკავშირელებს ჰქონდათ იოტისოდენა გაგება ევროპული ფედერალიზმისა. მათი ამოცანა იყო უნიტარიზმის განმტკიცება – ფაქტობრივი ფედერალიზმის პირობებში. სწორედ ამას ემსახურებოდა სადამსჯელო ლაშქრობები სამეგრელოსა და აფხაზეთში, სურვილი აჭარაში ანალოგიურის მოწყობისა. თუ რა შედეგი მოიტანა მსგავსმა პოლიტიკამ, ნათლად გამოჩნდა.

გაცილებით რთული ვითარება შეიძლება ყოფილიყო აჭარაში, რომ არა აბაშიძის გონივრული ქმედება. მან კიტოვან-იოსელიანის სადამსჯელო „არმიას“ ჩოლოქთან ბეტონის ბლოკები და ბათუმთან დისლოცირებული რუსეთის ჯარი დაუხვედრა. აჭარა გადაურჩა დარბევა-აწიოკებას, ძარცვას, სამოქალაქო ომს. აბაშიძის ნაბიჯმა არა მარტო აჭარა გადაარჩინა, არამედ საქართველოც. ვინ იცის, აჭარის „დაპყრობის“ შემდეგ, „პატრიოტ“ კიტოვანსა და იოსელიანს რა მოუვიდოდათ აზრად...

ასე და ამგვარად გაჩნდა აჭარის ადმინისტრაციულ საზღვარზე ბეტონის ბლოკები. ცენტრსა და ავტონომიას შორის იმთავითვე შეიქმნა უნდობლობა. გაწბილებული ცენტრი აჭარისა და მისი ლიდერის სისტემატური ლანძღვა-გინებით იქცევდა თავს.

ამ საქმეში მოწინავე პოზიციები ეკავა „მოქალაქეთა კავშირის“ ახალგაზრდულ ფრთას – ჟვანია-სააკაშვილს, ბარამიძეს, მაჭავარიანს, სხვებს. ძალაუფლების ხელში ჩაგდების ბარიერად ისინი აბაშიძეს მოიაზრებდნენ. ასაკოვანი შევარდნაძის გაცურება მათთვის გაცილებით იოლი საქმე იყო, ვიდრე აბაშიძის. საჭირო იყო აბაშიძის პიროვნების საყოველთაო გაშავება, დამცირება, მტრის ხატად გადაქცევა.

ეს საქმე მათ შესანიშნავად შეასრულეს – აიყოლიეს რა მასმედია, ინტელიგენცია, საზოგადოების ფართო ფენები. აბაშიძე გახადეს ნომერ პირველი მტერი საქართველოსი. არადა აბაშიძის ძალისხმევით იმდენად გარდაიქმნა აჭარა, რომ თბილისის ინტელიგენციის დიდმა ნაწილმა ბათუმისკენ იბრუნა პირი. მრავალი წლის განმავლობაში ოაზისად ქცეულმა აჭარამ დააპურა საქართველოს ინტელიგენცია. აბაშიძის დახმარებით გამოიცა წიგნები, დაიდგა სპექტაკლები და ა.შ.

დღეს, ხშირად გაიგებთ ივანიშვილის ქველმოქმედებაზე – ინტელიგენცია შიმშილისგან იხსნაო. კეთილი, მაგრამ გაცილებით ადრე მსგავსი ნაბიჯი, შესაძლოა უფრო მეტიც, აბაშიძემ გადადგა. თუმცა მას ისინიც კი არ იხსენებენ, ვინც არაერთი სიკეთე მიიღო მისგან.

ცენტრის შეტევისგან დამცველი ბეტონის ბლოკები მალე სხვა ფუნქციის მატარებელი გახდა. აჭარაში ფასი დაკარგა ბიზნესის ძარცვამ, მანქანების და ხალხის გატაცებამ, ვინაიდან ჩოლოქზე არსებულმა კონტროლმა თავისთავად გამორიცხა დანარჩენ საქართველოში არსებული განუკითხაობის აჭარაში გავრცელება.

აჭარის ავტონომია სამაგალითო გახდა დანარჩენი ორი ავტონომიური ფორმირებისთვის. გაჩნდა აჭარა-აფხაზეთს, აჭარა-სამხრეთ ოსეთს შორის მიმოსვლა, ერთმანეთისადმი პატივისცემა. ამერიკელი ექსპერტი ბრიუს ჯექსონი აჭარის მეთაურთან შეხვედრის შემდეგ მეუბნებოდა, რომ აბაშიძე და აჭარა განდეგილების დაბრუნების ფასდაუდებელი მაგალითიაო. ეს ის ჯექსონია, რომლის ძალისხმევით ბალტიისპირა რესპუბლიკები სწრაფად შეიყვანეს ნატოში.




ქვეყნის ფედერალური მოწყობა არა მარტო მაშინ, არამედ დღესაც ბევრისთვის მიუღებელია და მიუღებელია იმიტომ, რომ არაფერი იციან ამის შესახებ. ფედერალიზმის აუცილებლობაზე არაერთხელ მიგვანიშნებდა დიდი ილია.

ფედერალიზმის მნიშვნელობა ევროპაში კარგა ხანია გასიგრძეგანებულია. ფედერალიზმის ასპექტები სისტემატურად განიხილება ევროპის რეგიონთა ასამბლეაზე, რომლის წევრადაც სწორედ აბაშიძისდროინდელი აჭარა იყო მიწვეული.

თვალი შევავლოთ ერა-ზე (ევროპის რეგიონთა ასამბლეაძ აჭარის წარგზავნილთა სიას და დავინახავთ აბაშიძის „სეპარატიზმს“. დელეგაციაში საქართველოს იმჟამინდელი ცნობილი პოლიტიკოსები შედიოდნენ – ა.ასათიანი, ვ.ხუხუნეიშვილი, სხვები. 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ბლოკი „აღორძინება“ საქართველოში ცნობილი პარტიებისგან ჩამოყალიბდა, ხოლო, რაც შეეხება თვით „აღორძინებას“, მისი ბირთვი თბილისელთაგან შეირჩა.

„სეპარატიზმის“ მსგავსი მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მათ შორის აბაშიძის ძალისხმევით 1995 წლის საქართველოს კონსტიტუციაში „გამორჩენილი“ აჭარის ავტონომიის შეყვანა. თუმცა ესეც საკმარისია – გამგონი გაიგებს, ხოლო სააკაშვილი და მისთანები – არა.

ასლან აბაშიძის ავტონომია ავტონომია იყო, დღევანდელი ავტონომია სუროგატია. სააკაშვილის წყალობით მას ავტონომიურობის არავითარი ნიშანი აღარ შერჩა. დღევანდელი „ავტონომია“ არც აფხაზეთს ხიბლავს და არც სამხრეთ ოსეთს და რაც არ არის გასაკვირი, არც აჭარაში მცხოვრებს. ის თურქეთს მოსწონს, რომელიც სააკაშვილისა და მისი ნათესაურ-მეგობრული კლანის წყალობით უთოფოდ ეუფლება აჭარას. სამი საუკუნის შემდეგ, რუსეთის მიერ ომით და სისხლით დაბრუნებული აჭარა, ისევ თურქეთს უბრუნდება. და ამას ჰქვია – დავიბრუნეთ აჭარა.

რა სამართლებრივ ჩარჩოებში შეიძლება მოვაქციოთ 2004 წლის 6 მაისის აჭარის ამბები? ის, რომ ამას ცენტრის იურისდიქციის აღდგენა დაერქვა – სასაცილოა, ვინაიდან ავტონომიური აჭარა არასდროს გასულა საქართველოს იურისდიქციიდან.

შეიძლება თუ არა მას რევოლუცია ეწოდოს? ცხადია არა, ვინაიდან „რევოლუცია“ სააკაშვილის მიერ საქართველოს რეგიონებში შეკრებილი ხალხით განხორციელდა და არა ადგილობრივთა ხელით. ცხადია, გარედან დაგეგმილ „რევოლუციაში“ სააკაშვილის პროპაგანდას აყოლილი აჭარის მოსახლეობის გარკვეული რაოდენობაც იღებდა მონაწილეობას.

6 მაისის აჭარის მოვლენებს თავისუფლად შეიძლება ეწოდოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ განხორციელებული ძალისმიერი აქცია, რომელსაც მოჰყვა აჭარის არჩეული მეთაურის გაძევება. 6 მაისის ძალისმიერ მოქმედებას თავისუფლად შეიძლება გამოეწვია ძმათა შორის სისხლიანი დაპირისპირება და რომ არა აბაშიძის მხრიდან დათმობა, ვინ იცის რა ვითარება იქნებოდა საქართველოში.

აჭარის შემდეგ, დანარჩენ 2 ავტონომიაში ძალისმიერი გზით საქართველოს იურისდიქციის აღდგენის ცდა არაერთხელ იყო, თუმცა წარუმატებლად, ხოლო 2008 წელს კატასტროფულად!

ავანტიურიზმი, ტყუილები და ბაქიაობა პოლიტიკოსისთვის ცუდი მრჩევლებია, რაც არაერთხელ დადასტურდა ნაცთა მმართველობის პერიოდში. მაგრამ ხალხის ინდიფერენტიზმი ხელს უმართავს სააკაშვილს მუდმივად მიმართოს ნორმალური მმართველობისთვის მიუღებელ ხერხებს.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

## ◉ რეიტინგი

# ვისთვისაა ცხოვრება საამური?

**წელიწადში ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის ოდენობა და ეროვნული ვალუტის მყიდველობითი უნარი – ეს ის კრიტერიუმებია, რომელთა მიხედვით ავტორიტეტულმა ამერიკულმა გამოცემა „ფორბსმა“ მსოფლიოში უმდიდრესი ქვეყნების რეიტინგი შეადგინა.**

ასეთი მიდგომით აღმოჩნდა, რომ ყველაზე მდიდარია სპარსეთის ყურეში ერთი ციდა, თუმცა კი ნავთობისა და ბუნებრივი გაზის უდიდესი მარაგის მქონე ქვეყანა **ყატარი,** სადაც სულ 1,7 მილიონი კაცი ცხოვრობს. წელიწადში ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი იქ 88 ათას დოლარს აჭარბებს. თუმცა მეორე და მესამე ადგილებზე ყატარზე უფრო პატარა ქვეყნები – **ლუქსემბურგი** და **სინგაპური** გავიდნენ, რომელთა მოქალაქეების წლიური შემოსავალი, შესაბამისად, 81 და 57 ათას დოლარს შეადგენს. უმდიდრესი ქვეყნების სიაში მომდევნო ადგილებზე არიან **ნორვეგია** (52 ათასი დოლარიძ, **ბრუნეი** (48 ათასი დოლარიძ, **არაბეთის გაერთიანებული საემიროები** (47 ათასი დოლარიძ, **ჰონგკონგი** (46 ათასი დოლარიძ, **შვეიცარია** (42 ათასი დოლარიძ და **ნიდერლანდი** (41 ათასი დოლარი).

ბრიტანულმა გაზეთმა „სანდი თაიმსმა“ კი მკითხველებს მსოფლიოში არაოფიციალურად ყველაზე მდიდარი კაცი გააცნო, თუმცა კი მისი ვინაობა მანამდეც ყველასთვის კარგად იყო ცნობილი. გამოცემის ინფორმაციით ესაა რუსეთის ახლადარჩეული მეორე ვადით პრეზიდენტი **ვლადიმერ პუტინი,** რომლის 130 მილიარდ დოლარად შეფასებული იმპერია თითქმის ორჯერ აღემატება ოფიციალურად მსოფლიოს ყველაზე მდიდარი კაცის, მექსიკელი მაგნატის **კარლოს სლიმის** ქონებას.

გაზეთის ჟურნალისტების ცნობით, პუტინის უზარმაზარი ქონების საფუძველი ყველაზე დიდი რუსეთული გაზის ექსპორტიორი კომპანიის „გუნვორის“ აქციათა 50 და ცნობილი „გაზპრომის“ აქციათა 45 პროცენტი შეადგენს. თუმცა კი აღნიშნავენ იმასაც, რომ ესაა არაოფიციალური ინფორმაცია, თან დასძენენ, რომ პრეზიდენტის ეკონომიკურ ინტერესთა სხვა სფეროების შესახებ მონაცემები არ მოეპოვებათ. ამასთან, ხაზს უსვამენ იმ გარემოებასაც, რომ გარდა ძალაუფლებისადმი ლტოლვისა, პრეზიდენტის სავარძლის დაკავება პუტინს საკუთარი ბიზნესიმპერიის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და მისი გაფართოების სურვილი ამოძრავებს. მთელ ამ ქონებას კი, პირველ ყოვლისა, მისი ოჯახის წევრები და უახლოესი გარემოცვა – მეუღლე ლუდმილა, ძმა იგორი და მიხეილ შელომოვი განკარგავენ.

**ირმა ირემაშვილი**

# რატომ არის გარეჯის საქმე ძალიან ცუდად?..

## მამუკა არეშიძე: „აზერბაიჯანულ ფირმებთან ფარულ ეკონომიკურ სქემებში ჩართული ხელისუფლების წარმომადგენლები ხმის ამოღებას ვერ ბედავენ“



*ბოლო დღეებში დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ირგვლივ შექმნილმა ვითარებამ საზოგადოებაში მორიგი ვნებათაღელვა გამოიწვია. კერძოდ, 6 მაისს ადგილზე მისულ ტურისტებს აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა უდაბნოს მონასტერში შესვლის საშუალება არ მისცეს. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძე და კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა აცხადებენ, რომ სამონასტრო კომპლექსის ეს ნაწილი სადავო ტერიტორიას არ წარმოადგენს და ის აზერბაიჯანს ეკუთვის.*

*რა ისტორია აქვს სამონასტრო კომპლექსის ირგვლივ არსებულ დავას, რა ვითარებაა ამჟამად დავით გარეჯში და რა გამოსავალი არსებობს შექმნილი რთული სიტუაციიდან, აღნიშნულთან დაკავშირებით სააგენტო „პირველი“ ექსპერტს კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძეს ესაუბრა.*

— ამ შემთხვევაში საზოგადოების გაღიზიანების არსი იმაში მდგომარეობს, რომ მონასტერში მომლოცველებს არ უშვებენ. ჯერ ერთი, გავარკვიე, რომ ვისაც ტურისტული პაკეტი აქვს, მას უდაბნოს მონასტერში უშვებენ, ხოლო ვინც თავისი ინიციატივით არის ჩასული — არა. რა თქმა უნდა, აზერბაიჯანული მხარის პოზიციით დავინტერესდი და გავარკვიე, რომ აზერბაიჯანულ მხარეს „ევროვიზიასთან“ დაკავშირებით თავისი საზღვრის მთელ პერიმეტრზე კონტროლი გაუძლიერებია. ამასთან, შესაბამის სტრუქტურებს დავალათ, რომ ამის თაობაზე საზოგადოებისთვის და, პირველ რიგში, ქართული საზოგადოებისთვის შეეტყობინებინათ. სამწუხაროდ, ამ სტრუქტურებმა, რომელთა დასახელებისგან თავს შევიკავებ, დავალებას თავი ვერ გაართვეს. აზერბაიჯანულ სტრუქტურებს ვგულისხმობ, მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულს. აზერბაიჯანელი მესაზღვრეები ამ ზონაში წლების განმავლობაში ტრიალებდნენ, დაახლოებით 23 წელიწადი, მხოლოდ არა ასეთი რაოდენობით და ასეთი პირობებით, რომ ვინმე სადმე არ შეეშვათ, — განაცხადა არეშიძემ.

მისივე თქმით, საქართველოს და აზერბაიჯანს შორის საზღვრის დელიმიტაციისა და დემარკაციის საკითხი წლების განმავლობაში მოუგვარებელია და ჯერ საზღვრის მხოლოდ 60%-ია დელიმიტირებული. რაც შეეხება სადავო ნაწილს, იურიდიული თვალსაზრისით, ის ჯერ არც ერთ მხარეს არ ეკუთვნის.

„ახლა გეტყვით, რაშია საქმე და რა ნაღმია ჩადებული აქ. ეს სამონასტრო კომპლექსი ადრეულ შუასაუკუნეებში, 13 ასირიელი მამის გამოჩენასთან ერთად შეიქმნა. იმ პერიოდიდან მოყოლებული აქ ყოველთვის ქართველი სასულიერო პირები მოღვაწეობდნენ. როდესაც საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იყო, მაშინ ეს ტერიტორია, სავსებით სამართლიანად, თბილისის გუბერნიის შემადგენლობაში შედიოდა. შემდეგ, 1918 წელს საქართველოს ხელისუფლებამ აზერბაიჯანის ხელისუფლებას თავისი პირობები წაუყენა, რომ საზღვრის გამიჯნვა მომხდარიყო. მაშინაც სადავო შეიქმნა ეს ტერიტორია იმიტომ, რომ მანამდე წლების განმავლობაში ბევრჯერ ეს ტერიტორია მომხდურების თავდასხმის ობიექტი ხდებოდა, რადგან დავით გარეჯის კომპლექსი, რომელიც ქრისტიანული რელიგიის ციტადელს წარმოადგენდა, მათთვის მუდმივად გამაღიზიანებელი იყო. ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ მონასტერს თავისი ფუნქციონირება შეეწყვიტა და მოსახლეობაც აყრილიყო ამ მხარიდან. სხვათა შორის, ამ ადგილს უდაბნო ამიტომაც ჰქვია. შემდგომში იქ ადგილი დაიმკვიდრა თარაქამების ტომმა, რომელიც მომთაბარე ცხოვრებას და მესაქონლეობას ეწეოდა. სპარსეთის მმართველობის ინიციატივა იყო, რომ იქ ქრისტიანული კერა არ ყოფილიყო. ზუსტად ამიტომ, 1918 წელს, როდესაც საქართველოს ხელისუფლებამ საზღვრის გამიჯნვისთვის თავისი არგუმენტები წარადგინა, აზერბაიჯანის ხელისუფლებამ დაუპირისპირა ის არგუმენტი, რომ ეს ადგილი ტომით აზერბაიჯანელი მოსახლეობით იყო დასახლებული, ანუ ისინი ტერიტორიული გამიჯნვის პრინციპად ეთნიკურ-რელიგიურ ფაქტორს იღებდნენ და არა იმას, ვის ეკუთვნოდა ეს ტერიტორია 7-8 საუკუნის წინათ. საქართველოს გასაბჭოებიდანვე, 1921 წელს ამ ტერიტორიაზე კვლავ კამათი დაიწყო. 1929 წელს კი ამიერკავკასიის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა საბედისწერო გადაწყვეტილება მიიღო. ამ ტერიტორიაზე საძოვრების სისტემაა. აქ ერთმანეთის მიყოლებით განლაგებულია გარეჯის, ყარაიასა და ელდარის საძოვრები. „გარეჯის ზამთრის საძოვრების და ელდარ-სულეის საძოვრების შესახებ“ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით, საქართველოს 16 000 ჰა ტერიტორია დაუმტკიცდა, ე.ი. ამ საძოვრების სისტემის ნაწილი, მეორე ნაწილი კი — 17 000 ჰა — ავტომატურად აზერბაიჯანს დარჩა. მართალია, არ დაუმტკიცდა, მაგრამ, რადგან დანარჩენი ნაწილი ჰაერში გამოკიდებული დარჩა, აზერბაიჯანის ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ ეს მისია. ტერიტორიების გაყოფა სამეურნეო მიზნებიდან გამომდინარე მოხდა, რაც საერთაშორისო სამართლის ნორმებში არანაირად არ ჯდება. საქართველოს ხელისუფლების გასაკიცხად უნდა ითქვას, რომ იმ დღიდან მოყოლებული, 1990-იან წლებამდე არ უზრუნიათ კუთვნილი მეორე ნაწილის დაბრუნებაზე. დავით გარეჯის კომპლექსის მცირე ნაწილი გაშენებულია იმ ტერიტორიაზე, რომელიც აზერბაიჯანს დარჩა. ზუსტად იქ არის განლაგებული უდაბნოს მონასტრის ნაწილიც, ესაა ჩიჩხიტურისა და ბერთუბნის სადავო მონაკვეთი. თუმცა, საერთაშორისო სამართლის ნორმებიდან გამომდინარე აზერბაიჯანის ხელისუფლებას არ აქვს უფლება, ამ ტერიტორიის აზერბაიჯანისთვის მიკუთვნების საკითხი ერთმნიშვნელოვნად დააყენოს, რადგან იქ მხოლოდ და მხოლოდ სამეურნეო გამიჯნვა მოხდა. სხვათა შორის, ძალიან საინტერესო ეპიზოდია, რომ პირად საუბრებში ქართველ ბერებს, რომლებიც იქ მოღვაწეობენ, აზერბაიჯანელი მესაზღვრეები ეუბნებიან, რომ ეს ტერიტორია მათ ორჯონიკიძემ აჩუქა. 1990-იანი წლების ბოლოს აზერბაიჯანელ მეცნიერებში გაჩნდა ახალი ჰიპოთეზა, რომელიც ყარაბახის პრობლემიდან გამომდინარეობს. კერძოდ, სომხების მთავარი არგუმენტი, როდესაც ამტკიცებენ, რომ ყარაბაღი მათი ტერიტორიაა, იმაზეა დაფუძნებული, რომ იქ უამრავი ქრისტიანული ძეგლია. შესაბამისად, სომხები სვამენ კითხვას: თუ ყარაბაღი აზერბაიჯანულია, რატომ არის იქ ამდენი ქრისტიანული ძეგლი? ამის საპასუხოდ, აზერბაიჯანელი მეცნიერების ჰიპოთეზა იმაში მდგომარეობს, რომ ყველა ქრისტიანული ძეგლი, რომელიც განლაგებულია ყარაბაღის ტერიტორიაზე, ალბანური კულტურის ნაწილია. მოგეხსენებათ, ალბანეთი ქრისტიანული სამეფო მე-9 საუკუნემდე დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარეობდა. აზერბაიჯანელი მეცნიერების თეორია იმაში მდგომარეობს, რომ ყველა ქრისტიანული ძეგლი, რომელიც არამარტო ყარაბაღის ტერიტორიაზეა, არამედ საინგილოშიც, მათ შორის ქურმუხის წმინდა გიორგის ცნობილი ეკლესია და დავით გარეჯიც (რომელსაც აზერბაიჯანელები „კეშიკჩს“ უწოდებენ), ალბანური კულტურის ნაწილია, აზერბაიჯანი კი ალბანეთის სამართალმემკვიდრეა. ეს მეცნიერული პოზიცია აზერბაიჯანის პოლიტიკური ხელმძღვანელობის პლატფორმად იქცა და საქმე იმაშია, რომ საქართველოსთან პარტნიორობის მიუხედავად, ამის დათმობა არ შეუძლიათ. ისინი თვლიან, რომ საკმარისია კომპრომისი დაუშვან, სომხებს გაუჩნდებათ არგუმენტი, რომ გარეჯი ალბანური კულტურის ძეგლი არ ყოფილა და არც ყარაბაღის ტერიტორიაზე განლაგებული ძეგლებია ალბანური, გარეჯი — ქართულია, ყარაბაღი კი — სომხური, ხოლო აზერბაიჯანი ქრისტიანული კულტურის მემკვიდრე არაა. ამიტომ, აზერბაიჯანელები ამ საკითხს ფეხს არ უცვლიან“, — განაცხადა არეშიძემ.

მისივე თქმით, საქართველოს ხელისუფლების მთავარ დანაშაულს წარმოადგენს ის, რომ ამ საკითხს „საჯარო ჟღერადობა“ არ მისცეს.

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები, რომლებიც საზღვრის დელიმიტაციის მიზნით შექმნილ კომისიაში არიან, აცხადებენ, რომ აზერბაიჯანთან მოლაპარაკებების ფორმატში არანაირი პრობლემა არ არსებობს. პრინციპში, მათ საზოგადოება მოატყუეს. აზერბაიჯანული მხარის წარმომადგენლები არ მალავდნენ, რომ სადავო საკითხები ისევ დარჩა. საქართველოს ხელისუფლება შიშობს, რომ ქართველი ხალხის გაღიზიანებას გამოიწვევს ის ფაქტი, რომ ხელისუფლებამ საზღვართან დაკავშირებულ საკითხში ვერაფერს მიაღწია. ამავდროულად, საზოგადოებაში, სხვადასხვა საყოფაცხოვრებო დონეზე, გაჩნდა აგრესია აზერბაიჯანელების მიმართ და აქ მთავარი დამნაშავე აზერბაიჯანული მხარე კი არაა, არამედ — ქართული, რომელმაც საზოგადოებისთვის ცნობილი ჯეროვანი პასუხი არ გასცა იმას, რომ საინგილოში განლაგებული ქართული კულტურის ძეგლები ალბანურად გამოცხადდა, რომ დავით გარეჯს აზერბაიჯანულ სამეცნიერო წრეებში ალბანური კულტურის ძეგლის იარლიყი მიეწერა. ეს ქართული საზოგადოების მსჯელობის საგანი არ გამხდარა. როდესაც კითხვას სვამ, საქართველოს ხელისუფლება ასე დაფარულად რატომ იქცევა, ბუნებრივია, ხალხს ასეთი პასუხი აქვს: ეს ხდება იმიტომ, რომ საქართველოში აზერბაიჯანული ეკონომიკის ძალიან ძლიერი გავლენაა, ხელისუფლების წარმომადგენლები ამ ფარულ ეკონომიკურ სქემებში ჩართულები არიან და, რასაკვირველია, ხმას არ ამოიღებენ. საკითხის დამალვა და სირაქლემას პოზიცია ხალხის გაღიზიანებას იწვევს. გაღიზიანების ობიექტი კი არის როგორც საქართველოს ხელისუფლება, ისე აქ მცხოვრები აზერბაიჯანელები, რაც არასწორია. აზერბაიჯანის ხელისუფლების პოზიცია გასაკიცხია და ეს სხვა საკითხია, მაგრამ ის უფრო ჭკვიანურად იქცევა, როდესაც დავით გარეჯის თემას მთავარ საკითხად არ აყენებს. აზერბაიჯანის სამეცნიერო წრეები აცხადებენ, რომ ეს მაინცდამაინც ალბანური კულტურის ძეგლია და ამას სათანადო პასუხი ქართველმა მეცნიერებმა უნდა გასცენ, რისი ინიციატორიც ხელისუფლება უნდა იყოს, — განაცხადა არეშიძემ.

* * *

რაც შეეხება გამოსავალს არსებული სიტუაციიდან, რომელშიც, არეშიძის აზრით, ყველა მხარეა დამნაშავე, მათ შორის ჩვენი წინა თაობები, რომლებიც მაშინ ხელისუფლებაში იყვნენ, „გამოსავალი, ალბათ, ის არის, რომ დეზავუირება მოხდეს იმისა, რომ დავით გარეჯი ალბანური კულტურის ძეგლია“.

— ეს უნდა მოხდეს ნერვიულობის და ისტერიკის გარეშე და იმის გარეშე, რომ ვინმე გაილანძღოს. უბრალოდ არგუმენტირებულად უნდა დადასტურდეს, რომ ეს ასე არ არის. მეორეც, ხელისუფლებამ საზოგადოებას უნდა აუხსნას, რას აკეთებს ამ მიმართულებით და რა პერსპექტივა გველოდება. თუ ამას ხელისუფლება ვერ აკეთებს, უნდა გააკეთონ საქმეში ჩახედულმა საზოგადოების წარმომადგენლებმა. საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელებისადმი აგრესია, აქცია „უარი სოკარს!“, ფორუმებზე ლანძღვა-გინება სწორი მიდგომა არ არის. ამ მიდგომამ მოგვიტანა თავის დროზე აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის პრობლემები. ამიტომ აქ საზოგადოების და ხელისუფლების კონსოლიდაციაა საჭირო, რათა პრობლემის გადაწყვეტის გზები ვეძებოთ. მაგრამ, ეტყობა მართალია ის ვერსიები, რომ ხელისუფლებაში უამრავი ადამიანია, რომელიც იმდენად ჩართულია კონკრეტულ აზერბაიჯანულ ფირმებთან ფარულ ეკონომიკურ სქემებში, ფულის გაყოფაში, რომ ხმის ამოღებას ვერ ბედავენ. ამიტომაც საქმე ფუჭდება, — განაცხადა არეშიძემ.

**ნინო ჩიჩუა**

## მათქმევინეთ!

ვაითუ შარზე ვარ, ვაითუ ჩასაფრებული ვარ, ვაითუ ტყუილა „გადავკიდებივარ“ ჩვენს პრეზიდენტს... რას უნდა ერჩოდე, თუ იმ ავ დღეს, 13 მაისს, როცა ნახევარი თბილისი და არ ვიცი, მერამდენედი საქართველო, წყალს მიჰქონდა, ოპერატიულად უშოვეს სარგო რეზინის ჩექმები, გამოვიდა და მისგან ათვალწუნებული დედაქალაქის მშენებარე ობიექტების ნაცვლად წყალწაღებული ობიექტები მოიარა, ამდენი რამ შენიშნა, მონიშნა, ამდენი რჩევა, მითითება, დარიგება, განკარგულება გასცა... მადლობის მეტი რა უნდა გეთქმოდეს... მოისმინა კიდევაც, ხომ, ამდენი მადლობა...

და მაინც, და მაინც, ისევ ამიფუთფუთდა ეჭვები, განსაკუთრებით მას მერე, რაც შევიტყვე, რომ იმავ საღამოს დაუჯდა ფეხი და სლოვენიაში გაფრენილა საქართველოს ფეხბურთელ ჭაბუკთა ნაკრების

### „წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდა“...

მატჩის საცქერად ცოლეული ჰოლანდიის ჭაბუკთა ნაკრებთან; რამდენად ლამაზად გამოიყურება ეს გაფრენა, აქაურობის მიტოვება, როცა წყალს ნაფოტი კი არა, ხეები, კლდეები, მაცივრები, ტელევიზორები, ავტომანქანები ჩამოჰქონდა... კვლავ საპიაროდ ხომ არ გამოვიდა დატბორილ ქუჩა-უბნებში, რეზინის ჩექმებით, მერე საპიაროდ ხომ არ გაფრინდა ნახევარფინალურ შეხვედრაზე... არადა, დათვური სამსახური ხომ არ გამოუვიდა, ხომ არ დათარსა ის ბიჭები: პრეზიდენტი ესწრებოდა და ეტყობა, ნამეტანი მოინდომეს, თორემ 17 წლის ჭაბუკი, თანაც კაპიტანი, მოედანზე რატომ უნდა სჩადიოდეს გასაძევებელ საქციელს...

არა, რაც გინდათ თქვით, როგორც გინდათ, დამამუნათეთ, მაგრამ ასეთ სიტუაციაში, ახლა რომ ქვეყანაა, ამგვარად საგრიალოდ ვერ უნდა იცლიდეს ქვეყნის მეთაური...

მთავარი ჩემი სათქმელი კი, რისთვისაც ეს წკეპლიკა დაიწერა, აი, რა არის: ეს მრჩევლობა რაში უნდა სჭირდებოდეს, როცა ამდენი შტატიანი მრჩეველი ჰყავს, მაგრამ მაინც შევკადრებ ერთ რჩევას.

ეგება გადაიფიქროს — არის კიდევ დრო — პარლამენტის გაქუთაისება, ქუთაისის გადედაქალაქება და ის უზარმაზარი თანხები, ასეთ „გა“-ს რომ სჭირდება, დაზოგოს და სტიქიური უბედურებისაგან გამოწვეული ზარალის დაფარვას, მოშუშებას, მონელებას მოახმაროს...

**ბერდია ბედოიძე**



## დავით გარეჯის წინამძღვარი: ხელისუფალთა განცხადებები ერის ღალატია

— **თუკი ხელისუფლებას არ შეუძლია ამ პრობლემის მოგვარება, სანამ რამეს იტყვიან, დაფიქრდნენ მაინც და ასეთ უპასუხისმგებლო განცხადებებს ნუ გააკეთებენ. ეს სიტყვები იწერება ისტორიაში და ისინი ამისთვის პასუხს აგებენ ერისა და ისტორიის წინაშე, ეს მინდა რომ იცოდნენ,** — განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს დავით გარეჯის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა ილარიონმა.

**„ყველა მეკითხება, თქვენ ხომ არ გექმნებათ პრობლემაო? როგორ, მომლოცველს რომ პრობლემა ექმნება, ეს იგივე ჩემი პრობლემა არ არის? ჩემი პრობლემა და ქვეყნის პრობლემა ერთმანეთისგან არ განსხვავდება. არ შეიძლება ასე დავყოთ პრობლემები. ჩვენ ისე გავთითოკაცდით, რომ ასე ვყოფთ ერთმანეთს. გამოვიდა ჩვენი კულტურის მინისტრი და განაცხადა, რომ სასულიერო პირებს არ ექმნებათ ტერიტორიაზე შესვლის პრობლემაო, მაგრამ ეს ასე არ არის. ერის პრობლემა ჩემი პრობლემაა. კულტურის მინისტრი ისეთ უპასუხისმგებლო განცხადებებს აკეთებს, რომ ფაქტია არ არის ჩახედული ამ საქმეში. ამბობს, რომ თითქოს მხოლოდ უცხოელი ტურისტები არ შეუშვეს ტერიტორიაზე, ეს არის სულელური განცხადება. არანაირი კავშირი არ აქვს სიმართლესთან. რეალურად იქ შესვლა ეკრძალება ყველას. ჩვენ გვეუბნებიან, რომ პრობლემა არ აქვთ მხოლოდ სასულიერო პირებს, ანუ რა უნდათ, რომ სასულიერო პირები გამიჯნონ ერისაგან? შევახსენებ ყველას, რომ სასულიერო პირი ერისაგან განუყოფელია. ერს თუ აქვს პრობლემა, ეს ეკლესიის პრობლემაა. დღეს დავით გარეჯში პრობლემებია და ეს პრობლემა ყველასთვისაა, ჩემთვისაც და თქვენთვისაც“ — აცხადებს წინამძღვარი და აღნიშნავს, რომ უმთავრესი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ არაკანონიერად ითვისებენ საქართველოს ტერიტორიას აზერბაიჯანელები, არა მხოლოდ ტერიტორიას, არამედ ჩვენს სიწმინდეებს ეპატრონებიან ყოველგვარი მორიდების გარეშე.**

**ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ამაში მხარდაჭერას ჩვენი სახელმწიფო პირებისგან იღებენ. აზერბაიჯანელი მესაზღვრეები ამბობენ, მათ აქვთ ბრძანება, რომ ეკლესიის ტერიტორიაზე არ შეუშვან არავინ. ამიტომ, ჩვენმა ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ და დაფიქრებულად უნდა იმოქმედოს, თუმცა ამის ნაცვლად ასეთ უპასუხისმგებლო განცხადებებს ვისმენთ,** — დასძინა არქიმანდრიტმა ილარიონმა.



## დავით გარეჯის უდაბნოს მონასტერი სერგო ორჯონიკიძემ გააჩუქა!

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძე ერთს ამბობს, კულტურის მინისტრის მოადგილე ნიკა რურუა მეორეს, ოღონდ ამჯერად, საქმე არა თურქეთ-საქართველოს გასაიდუმლოებულ ხელშეკრულებას, არამედ, დავით გარეჯის უდაბნოს მონასტერს ეხება, რომელიც ისტორიკოს გიორგი ოთხმეზურის განმარტებით, სერგო ორჯონიკიძემ აზერბაიჯანს 1921 წელს გადასცა.

**„უდაბნოს მონასტერი სადავო საკითხს არ წარმოადგენს. სამწუხაროა, მაგრამ ის 1994 წლის შეთახმების თანახმად, აზერბაიჯანის ტერიტორიას ეკუთვნის“,** — უთხრა რურუამ სააგენტო „პირველს“ და იქვე დასძინა, რომ **დავით გარეჯის კომპლექსში შემავალი უდაბნოს მონასტრის საქართველოსთვის გადმოცემაზე აზერბაიჯანთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს, მაგრამ საბოლოო შედეგისთვის „სერიოზული დიპლომატიური შრომაა საჭირო“.**

**„ნაციონალების“ გაგებით „სერიოზული დიპლომატიური შრომა“ ასე დაიწყო — ქართული მხარე მეზობელ აზერბაიჯანს სთხოვს, რომ ორ ქვეყანას შორის საზღვრების დადგენამდე, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსში გადაადგილებასთან დაკავშირებით საქართველოს მოქალაქეებს და ტურისტებს პრობლემა არ შეექმნათ. ამ თხოვნის ირგვლივ განცხადება პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ მიხეილ მაჭავარიანმა გააკეთა და ისიც შეგვახსენა, რომ „როდესაც პარლამენტის მეგობრობის ჯგუფი ფრიდონ თოდუას ხელმძღვანელობით აზერბაიჯანში იმყოფებოდა, დააფიქსირეს, რომ ეს ტერიტორია ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი და ფასეულია“.**

Presage.tv

## მარიკა ლორთქიფანიძე: დავით გარეჯის ტერიტორია ყოველთვის საქართველოს ნაწილი იყო



**აკადემიკოს მარიკა ლორთქიფანიძის განცხადებით, ისტორიულად, დავით გარეჯის ტერიტორია ყოველთვის საქართველოს ნაწილი იყო.** როგორც „ივერიონთან“ საუბრისას მარიკა ლორთქიფანიძემ აღნიშნა, ასევე ქართული ძეგლებია ის ეკლესია-მონასტრები, რომლებიც დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსში შედის.

**„ეს ტერიტორია მეოთხე საუკუნიდან შემოვიდა საქართველოს შემადგენლობაში. მეექვსე საუკუნეში აქ აშენდა სამონასტრო კომპლექსი, რომელიც მე-12 საუკუნეში დავით აღმაშენებელმა სამეფო საკუთრებად გამოაცხადა, გაათავისუფლა გადასახადებისგან და ყველანაირად ხელს უწყობდა მის აღმავლობას. შემდეგ ის რამდენჯერმე დაარბიეს, თუმცა სამონასტრო კომპლექსი მაინც განაგრძობდა არსებობას. სამონასტრო კომპლექსი და ეს ტერიტორია ისტორიულად საქართველოს ტერიტორია იყო და ის აუცილებლად საქართველოს შემადგენლობაში უნდა დარჩეს“,** — განაცხადა ლორთქიფანიძემ.

მისივე თქმით, ამ ტერიტორიის გამო დავა აზერბაიჯანთან საზღვრის აქამდე ვერ დადგენის გამო არსებობს.

**როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა, საქართველომ თავისი საზღვრების გარკვევა მხოლოდ თურქეთთან შეძლო. ვერც სომხებთან და ვერც აზერბაიჯანთან ვერ გავარკვიეთ ჩვენი საზღვარი. ამიტომ არის სულ დავა ამ ტერიტორიის გამო. რამდენიმე წლის წინათ, როდესაც ცეკას მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი იყო, მისი ინიციატივით შეიქმნა კომისია, რომლის წევრი მეც ვიყავი. ასეთივე კომისია აზერბაიჯანშიც არსებობდა. ჩვენ დავალება გვქონდა, რომ გვეთქვა იმათთვის, რომ ის ტერიტორია სადაც არის ბერთუბნის ეკლესია და სადაც ლაშა-გიორგის და თამარის ფრესკებია, დაეთმოთ ჩვენთვის და სამაგიეროდ ჩვენ ორჯერ მეტ ტერიტორიას დავუთმობდით, რომელიც სახნავ-სათესი ან საძოვარი მიწები იქნებოდა. აზერბაიჯანის ხელისუფლებამ უარი თქვა,** — განაცხადა აკადემიკოსმა.

მისივე განმარტებით, **თუ აზერბაიჯანული მხარე არ დათანხმდება გარეჯის საქართველოსთვის დათმობას, სამონასტრო კომპლექსი ავტონომიურად უნდა გამოცხადდეს.**

**„ასევე, მე 4-5 წლის წინათ განვაცხადე, რომ ათონის სამონასტრო კომპლექსის მსგავსად შეიქმნას დავით გარეჯის სამონასტრო რესპუბლიკა, რომელსაც ექნება თავისი კოდექსი და ექნება ავტონომია. ამაზე ძალიან გამაკრიტიკეს და ისიც კი თქვეს, რომ მარიკა ლორთქიფანიძეს დავით გარეჯი არ ენაღვლებაო. შეიძლება მითხრან, რომ ვცდები, მაგრამ რაც უფრო დრო გადის, მეტად ვრწმუნდები, რომ ეს ინიციატივა საუკეთესო გზაა ამ პრობლემის მოსაგვარებლად. თუმცა აზერბაიჯანული მხარის თანხმობა აუცილებელია“,** — აღნიშნა მარიკა ლორთქიფანიძემ.

**ლექსო ნაზახტეველი,**

**სააგენტო „ივერიონი“**

### ◎ წნეხი

## ახალი „დანაშაული“ და ახალი სასჯელი

**საქართველოში ახალი აკრძალვა დაწესდა — ოპოზიციურად აზროვნება არ შეიძლებაო, და ამ აკრძალვის დარღვევისთვის სასჯელად ნათესავების სამსახურებიდან გათავისუფლება განისაზღვრა. რა თქმა უნდა, - პირველ ეტაპზე. შემდეგ უკვე შემოდის დამამძიმებელი გარემოება, თუ რამდენად ოპოზიციურია აზროვნება და სასჯელიც უფრო მძიმე იქნება. არ გეგონოთ, რომ სტატიას მეოცე საუკუნის 30-იან წლებზე ვწერთ. ეს ყველაფერი დღევანდელ საქართველოში ხდება.**

ყოველ შემთხვევაში, მხოლოდ შიდა ქართლში 21 მასწავლებელი სამსახურიდან იმიტომ გაათავისუფლეს, რომ მათი ოჯახის წევრი ან „ქართული ოცნების“ წევრია ან გულშემატკივარი. რამდენიმე მათგანმა კი გუშინწინ, პარლამენტში, „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენლის გიორგი ცაგარეიშვილის დახმარებით ბრიფინგი გამართა, სადაც ნანი ივანაშვილმა, მაია ცხადიაშვილმა, ქეთევან ხარაზიშვილმა, ციცინო ჯავახიშვილმა, ია ბჟალავამ, მაგული ბესიაშვილმა და ცოლქმარმა — ნოდარ კილაძემ და ნათელა ნოზაძემ იმაზე ისაუბრეს, თუ როგორ მოხდა მათი სამსახურიდან გათავისუფლება.

როგორც ციცინო ჯავახიშვილმა აღნიშნა, იგი გორის რაიონის სოფელ ნიქოზის საჯარო სკოლაში ბიოლოგიის ერთადერთი მასწავლებელი იყო, რომელიც დირექტორმა თამაზ მელანაშვილმა მხოლოდ იმიტომ გაათავისუფლა, რომ მას განსხვავებული აზრი ჰქონდა, მისმა მეუღლემ კი 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე „თავისუფალი დემოკრატებიდან“ იყარა კენჭი. გათავისუფლების ოფიციალურ მიზეზად კი მას საათების სიმცირე დაუსახელეს. თუმცა, როგორც თავად ამბობს, დირექტორმა მას პირდაპირ უთხრა, რომ სამსახური ქმრის პოლიტიკური შეხედულების გამო უნდა დაეტოვებინა, რადგან „მას სკოლაში ოპოზიცია არ სჭირდებოდა“.

გიორგი ცაგარეიშვილმა კი დასძინა, რომ ციცინო **ჯავახიშვილს სასამართლოში სარჩელი აქვს შეტანილი და სასამართლო პროცესზე სკოლის დირექტორმა თამაზ მელანაშვილმა მოსამართლის კითხვის პასუხად განაცხადა, „ჯავახიშვილი იმიტომ გავათავისუფლე, რომ მიხეილ სააკაშვილი არ უყვარს“-ო.**

ია ბჟალავა, რომელიც სერთიფიცირებული მასწავლებელია, გორის მე-9 საჯარო სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა. მისი მეუღლე კი „თავისუფალი დემოკრატების“ წევრია, რაც მიმდინარე წლის იანვარში მისი გათავისუფლების მიზეზი გახდა.

**„სკოლის ყოფილმა დირექტორმა მარინე მახარაშვილმა მითხრა, რომ მის გათავისუფლებას კატეგორიულად სთხოვდნენ. ამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელსა და მაშინდელ გუბერნატორ ზურაბ არსოშვილს შევხდვით. ამ უკანასკნელმა დაგვაიმედა, რომ უსამართლოდ ადამიანის დაჩაგვრას არ დაუშვებდა, თუმცა სკოლაში გენერალური ინსპექცია შემოვიდა, რომლის დასკვნის საფუძველზეც მარინე მახარაშვილი თანამდებობიდან განთავისუფლდა. სინამდვილეში კი, ამის მიზეზი მე გავხდი. 3 კვირის დანიშნულმა დირექტორმა ელენე ხაჩიძემ კი მე ისე დამითხოვა, რომ საერთოდ არ მიცნობდა“,** — აღნიშნა ია ბჟალავამ.

ამასთან ის აღნიშნავს, რომ მის ოჯახს მიზანმიმართულად ებრძვიან და შიშობს, მის ოთხ ვაჟს რაიმე საფრთხე არ დაემუქროს.

ცაგარეიშვილის განცხადებით, მასწავლებლებს „გაზონდირებული“ სკოლების დირექტორები დევნიან და ამ პროცესში, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტიც აქტიურად მონაწილეობს. მისი თქმით, კუდმა უკვე გამგეობისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის ფუნქციაც შეითავსა.

**„მე მესმის, ასე რატომ ხდება. თუკი ბატონი მერაბიშვილი ყოველდღიურად ხვდება პედაგოგებს, მაშინ გასაგებია, ამ ადამიანების შევიწროვებაში კუდი რატომ არის ჩართული. როგორც ჩანს, ხელისუფლებას პედაგოგები საზარბაზნე ხორცად ჰყავს წარმოდგენილი, რომელიც, შეიძლება, არჩევნებში საკუთარი „წარმატების“ მისაღწევად გამოიყენოს და მათზე გადაივლის მოახლოებული არჩევნების მთელი სუსხი“,** — ამბობს გიორგი ცაგარეიშვილი.

პედაგოგები და მათთან ერთად ცაგარეიშვილი ამ საკითხთან დაკავშირებით პასუხს ხელისუფლებისგან ითხოვენ.

ბრიფინგს ასევე ესწრებოდა შიდა ქართლის ქალაქ ქარელში არსებული „პრივატბანკის“ ყოფილი თანამშრომელი გიორგი ბერუაშვილი, რომელიც სამსახურიდან მხოლოდ იმიტომ დაითხოვეს, რომ მისი და და დედა „ქართული ოცნების“ პრეზენტაციას ესწრებოდნენ.

როგორც მან აღნიშნა, „ქართული ოცნების“ პრეზენტაციამდე ის ბანკში ერთ-ერთ რეიტინგულ თანამშრომლად ითვლებოდა და მისი გათავისუფლების შესახებ არავის არასოდეს არაფერი უთქვამს. **პრეზენტაციის მეორე დღეს კი უთხრეს, რომ ის სამსახურიდან გათავისუფლებული იყო იმის გამო, რომ „მისი ოჯახის წევრები ოპოზიციურად აზროვნებენ“.**

მისი თქმით, რეგიონებში გაცილებით მძიმე მდგომარეობაა და ზეწოლას განიცდიან არა მარტო საჯარო სტრუქტურებში დასაქმებული ადამიანები, არამედ კერძო კომპანიებშიც, რომლებიც თავის მხრივ განიცდიან ხელისუფლებისგან ზეწოლას.

**თეონა ხარაბაძე,**

Presage.tv

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოში დავობენ, თუ ვინ არის დამნაშავე

**უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში უძლიერესმა თავსხმამ, რომელიც თავს დაატყდა თბილისს კვირა ღამით, გამოიწვია ქალაქის ზოგიერთ რაიონში წყალდიდობა, რამაც ადამიანთა მსხვერპლიც გამოიწვია. ამჟამად საქართველოში ანგარიშობენ ზარალს და მსჯელობენ იმის შესახებ, თუ ვინ არის დამნაშავე სტიქიის დამანგრეველ შედეგებში: ბუნება, „ადამიანის ფაქტორი", თუ ერთიც და მეორეც.**

დაიღუპა ხუთი კაცი – ახალგაზრდა ქალი ორი მცირეწლოვანი ბავშვით, მისი მეგობარი ქალი და ხანდაზმული მანდილოსანი. სტიქიის დარტყმის დროს ყველა მათგანი დედაქალაქის ორთაჭალის რაიონში, გორგასლის ქუჩაზე იმყოფებოდა. წყლის ძლიერმა ნაკადმა, რომელიც ქუჩის თავდაღმართზე მოდიოდა, დაანგრია ბარაკული ტიპის სახლი, რომელშიც პირველი ოთხი მსხვერპლი იმყოფებოდა. მარტოხელა 84 წლის ქალი ფაქტობრივად დაიხრჩო მას შემდეგ, რაც წყალი შეიჭრა სახლის პირველ სართულზე, სადაც მისი ოთახი იყო. 11 ოჯახი უბინაოდ დარჩა. მერიამ მათ უკვე მისცა დროებითი თავშესაფარი. მათ გადასცეს ტანსაცმელი და ყველა აუცილებელი რამ, ჰპირდებიან ფინანსურ დახმარებასაც.

თბილისის ამ ძველი რაიონის დანარჩენი მცხოვრებლები, რომელთა სახლებმაც გაუძლეს სტიქიის დარტყმას, თუმცა დაზარალდნენ, ცდილობენ დამოუკიდებლად და ქალაქის სამსახურების დახმარებით აღმოფხვრან წყალდიდობით მიყენებული ზარალი. წყალმა დატბორა სახლების პირველი სართულები, დაანგრია კედლები, ზიანი მიაყენა ქალაქის ინფრასტრუქტურას, ელექტროგადამცემ ხაზებს. წყლის ნაკადს მიჰქონდა ავტომობილები. მთელი ღამის განმავლობაში ქუჩებში მუშაობდნენ მაშველები და სამხედროები. სტიქიასთან ბრძოლისთვის მათ დასჭირდათ მძიმე ტექნიკა. იმ ღამით ათობით ადამიანმა მიმართა სამედიცინო დაწესებულებებს დახმარებისთვის. ოფიციალური ვერსიით, წყალდიდობა გამოიწვია იმან, რომ მდინარე მტკვარი, რომლის ნაპირებზეც მდებარეობს ორთაჭალის რაიონი, ნიაღვრის შედეგად გადმოვიდა ნაპირებიდან. მაგრამ ბევრი ადგილობრივი მცხოვრები ამ ვერსიას არ ეთანხმება. მათი მტკიცებით, ქუჩები და საცხოვრებლები დატბორა წყალმა, რომელიც გადმოვიდა ხელოვნური ტბებიდან კრწანისში ყოფილი სამთავრობო რეზიდენციის ტერიტორიიდან, სადაც ამჟამად ცხოვრობს ქვეყნის ექსპრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე. ქალაქის მერი გიგი უგულავა ამ აზრს უარყოფს. მესამე ვერსია წამოაყენა ორთაჭალჰესის ადმინისტრაციამ. მისი დირექტორი ზვიად ჩუბინიძე მიიჩნევს, რომ უბედურება მოხდა იმის გამო, რომ საკანალიზაციო კოლექტორებმა ვერ გაუძლეს წყლის ნაკადებს. ეს უკვე არა სტიქიის, არამედ ხელისუფლების ბრალიცაა.

НОВЫЕ ИЗВЕСТИЯ



# ოპოზიციის რევანში

**სამხრეთი ოსეთის პარლამენტმა ახალ პრემიერ-მინისტრად როსტიკ ხუგაევი დაამტკიცა, თუმცა ექსპრეზიდენტის ედუარდ კოკოითის მომხრეებისგან, რომლებიც ინარჩუნებენ პარლამენტში კონტროლს, ადრე ელოდებოდნენ, რომ ისინი ხმას მისცემდნენ წინააღმდეგ. არ არის გამორიცხული, რომ სიტუაციაზე ირიბად გავლენა მოახდინა ვლადიმერ პუტინმა, რომელმაც შაბათს სამხრეთი ოსეთის ახალ ხელმძღვანელობას სრული მხარდაჭერა აღუთქვა.**

სამშაბათს სამხრეთი ოსეთის პარლამენტმა როსტიკ ხუგაევი დაამტკიცა მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობაზე. მისი კანდიდატურა წარმოადგინა რესპუბლიკის ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა ლეონიდ თიბილოვმა.

ამ დროს ჯერ კიდევ პარასკევს გამომცემლობა „ოსეთი-კვაისა" გვაფრთხილებდა, რომ ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ კოკოითის მომხრეები, რომლებიც პარლამენტში უმრავლესობას ინარჩუნებენ, ამზადებენ რევანშის მცდელობას. გამოცემის მონაცემებით, ისინი აპირებდნენ რესპუბლიკის პრეზიდენტისთვის თავს მოეხვიათ ხუგაევის ნაცვლად თავისი კანდიდატურა პრემიერის პოსტზე, აგრეთვე შეენარჩუნებინათ სპიკერის პოსტიც.

შესაძლებელია, განწყობილება პარლამენტში მკვეთრად შეიცვალა მას შემდეგ, რაც შაბათს სოჭში თიბილოვთან მოლაპარაკებას აწარმოებდა მისი რუსეთელი კოლეგა ვლადიმერ პუტინი.

„ეს თქვენი პირველი ვიზიტია რუსეთში სამხრეთი ოსეთის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ. ჩვენ ვიცით, თუ რა უძღოდა წინ არჩევნებს. და იმედი მაქვს, რომ სიტუაცია გამოსწორდება", – განაცხადა პუტინმა მოლაპარაკების დასაწყისში. „რუსეთი სამხრეთოსეთელი ხალხის ისტორიის რთულ მომენტებში ყოველთვის იყო მის გვერდით და კვლავ დარჩება ეკონომიკის აღდგენის საკითხებშიც",– ხაზგასმით აღნიშნა რუსეთის პრეზიდენტმა.

პუტინმა ახალ ლიდერს აღუთქვა სრული მხარდაჭერა, მათ შორის ფინანსურიც. შეგახსენებთ, რომ პრეზიდენტები – ყოფილი კოლეგები არიან, საბჭოთა პერიოდში ორივე მათგანი სსრ კავშირის უშიშროების სახელმწიფო კომიტეტში მუშაობდა.

სამხრეთი ოსეთის გამოცემები ვარაუდობდნენ, რომ სოჭში შეხვედრაზე განიხილებოდა სამხრეთი ოსეთის პრემიერის კანდიდატურის საკითხიც.

ნებისმიერ შემთხვევაში, ახალი პრემიერის დამტკიცებამ ძალიან მსუბუქად ჩაიარა – დეპუტატებმა ერთსულოვნად მისცეს ხმა. როგორც „ინტერფაქსი" გადმოგვცემს, ხუგაევი დაჰპირდა პარლამენტარებს, რომ ყველაფერს გააკეთებს ეკონომიკის აღმავლობისთვის. „ჩვენ გავაგრძელებთ რესპუბლიკის აღდგენას, დამუშავდება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა, რომლის თანახმადაც ჩვენ ვივლით წინ. მე ჩემი მხრივ ყველაფერ შესაძლებელს გავაკეთებ იმისთვის, რომ ავამაღლოთ რესპუბლიკის მოსახლეობის ცხოვრების დონე", – თქვა მან.

ხუგაევმა აღნიშნა, რომ უკვე შეიძლება, ოთხშაბათს დამტკიცდეს ახალი მთავრობის სტრუქტურა და დაიწყოს პერსონალური დანიშვნები.

„მინისტრების თანამდებობებზე დაინიშნებიან მხოლოდ პროფესიონალები, რომლებმაც კარგად იციან თავიანთი საქმე. ყველა შემთხვევაში ჩვენ გვექნება ინდივიდუალური მიდგომა", – დაგვარწმუნა მან. პრემიერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რესპუბლიკის წინაშე უამრავი პრობლემაა და მათი გადაწყვეტა აუცილებელია პროფესიონალების გუნდის მიერ.

რამდენიმე საათის შემდეგ თიბილოვმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას ხუგაევის დანიშვნის შესახებ. შეგახსენებთ, რომ 60 წლის როსტიკ ხუგაევი არის სამხრეთი ოსეთის ჯავის რაიონის სოფელ მირტგაჯინიდან. შრომითი საქმიანობა დაიწყო 1969 წელს კვაისის სამთო-დაზვერვითი პარტიის ბურღვის მუშად. უკანასკნელ წლებში ცხოვრობდა და აწარმოებდა სამშენებლო ბიზნესს ვოლგისპირეთში, ამავე დროს სათავეში ედგა ეროვნულ კულტურულ ოსურ ცენტრ „ალანიას" სამარაში. ჰყავს ცოლი, ორი შვილი. 25 აპრილიდან ხუგაევი უკვე ასრულებდა რესპუბლიკის პრემიერის მოვალეობას.

გაზეთ „კომერსანტის" მონაცემებით, რესპუბლიკის ახალ მთავრობაში მნიშვნელოვანი პოსტები უნდა დაიკავონ ყოფილმა ცნობილმა ოპოზიციონერებმა ალა ჯიოევამ და ანატოლი ბარანკევიჩმა – ისინი ყოფილ პრეზიდენტ კოკოითის შეურიგებელი მოწინააღმდეგეები იყვნენ. გაზეთის მონაცემებით, ჯიოევას შესთავაზეს ვიცე-პრემიერის ადგილი, რომელიც კურირებას უწევს სოციალურ სფეროს, კულტურასა და მედიცინას, ბარანკევიჩს კი – მთავრობის აპარატის მეთაურის პოსტი.

ამას გარდა, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ადგილი უნდა დაიკავოს ჯიოევას ერთ-ერთმა უახლოესმა თანამებრძოლმა როდიონ სიუკაევმა, ლენინგორის რაიონის ხელმძღვანელი კი გახდება ოპოზიციონერის შტაბის აქტივისტი ჯემალ ჯიგკაევი. ამრიგად, როგორც გამოცემა აღნიშნავს, თიბილოვი „ყველაფერს აკეთებს, რათა აღმოფხვრას სამოქალაქო გათიშულობა, რომელიც დეკემბერში მოხდა". აპრილის დასაწყისში, უმალვე არჩევნების შემდეგ, თიბილოვმა ასევე გაზეთ „ვზგლიადს" განუცხადა, რომ მთავრობაში აიყვანდა თავის მეტოქეს საპრეზიდენტო რბოლაში დავით სანაკოევს.

ჯიოევას მეორე თანამებრძოლმა, საზოგადოებრივი მოძრაობის „ოსეთი დემოკრატიისთვის" ლიდერმა ბატრაზ ძუწათმა გაზეთ „ვზგლიადს" განუცხადა, რომ ცნობას იმის შესახებ, თითქოს კოკოითის მომხრეები მზად არიან, ჩაშალონ პრემიერის დანიშვნა, არ ჰქონია საფუძველი.

„ისინი არ წავიდოდნენ პრეზიდენტ თიბილოვის ნების წინააღმდეგ. ამიტომ, ბუნებრივია, ხუგაევის კანდიდატურას მხარი დაუჭირეს. ყველა ცნობა უნიადაგო აღმოჩნდა. იქნებ, მათ შორის რაღაც საუბრებს მართლაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ გამოვიდა ისე, როგორც გამოვიდა", – თქვა ბატონმა ძუწათმა.

რაც შეეხება ახალ მთავრობას, ძუწათი ვარაუდობს, რომ ოთხშაბათს უკვე ცნობილი გახდებიან კანდიდატები, მათ შორის ჯიოევისა და ბარანკევიჩის კანდიდატურები. „ჯიოევა და ბარანკევიჩი უნდა შევიდნენ მთავრობის შემადგენლობაში, ვინაიდან ისინი არიან ავტორიტეტული ფიგურები, რომლებმაც იციან თავიანთი საქმე. ისინი იმუშავებენ მხოლოდ ხალხის საკეთილდღეოდ", – დარწმუნებულია საზოგადოებრივი მოძრაობის „ოსეთი დემოკრატიისთვის" ლიდერი.

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

## დედამიწის ზურგზე

**სტროს-კანი მოითხოვს მილიონ დოლარს მოახლისგან, ვისი სექსბრალდებაც მას კარიერის დაკარგვად დაუჯდა**

მოახლესთან სექსკანდალის გამო პოლიტიკოსი დაემშვიდობა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხელმძღვანელის პოსტს და ამბიციებს გამხდარიყო საფრანგეთის პრეზიდენტი. თავის შემხვედრ სარჩელში მოახლეს ის ბრალს სდებს ცილისწამებაში და ცრუ ჩვენების მიცემაში, რამაც გამოიწვია სამუშაო ადგილის დაკარგვა და თავისუფლების უკანონო დაკარგვა.

* * *

**მასობრივი ინფორმაციის საშუალებები: ობამამ ასიმეტრიულად უპასუხა პუტინის უარს, გაემგზავროს რვიანის სამიტზე – ის ამას გაითამაშებს მედვედევზე**

ობამა არ მიფრინავს ვლადივოსტოკში არჩევნებში მზადების გამო: პუტინის უარზე, მონაწილეობა მიეღო რვიანის სამიტზე, რომელიც მისი გულისთვის ჩიკაგოდანაც კი გადაიტანეს, ის არ არის ნაწყენი, დაჟინებით ამტკიცებენ ამერიკის შეერთებულ შტატებში. სამიტზე დიმიტრი მედვედევი მიემგზავრება, მაგრამ რუსეთის ახალ პრემიერს ობამა ცოტა დროს გამოუყოფს და მასთან განიხილავს მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს.

* * *

**ანარქისტებმა „სოსისკას" ჯგუფიდან გერმანიაში დაწვეს ევროჩინოვნიკის ავტომობილი, რომელიც კურატორობას უწევს საბერძნეთის დახმარებას**

საბერძნეთზე ევროკომისიის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის ჰორსტ რაიხენბახის ავტომობილი დაწვეს ორშაბათს დილით გერმანიის ქალაქ პოტსდამში. ბოროტმოქმედებმა ასევე შეაგდეს სალებავიანი პაკეტი რაიხენბახის სახლის ფანჯარაში. ინციდენტზე პასუხისმგებლობა იკისრა ჯგუფმა, რომელიც თავის თავს „ლუკანიკოს" უწოდებს და ათენში არის საპროტესტო მიტინგების „აქტივისტი".

* * *

**ინდონეზიაში აღმოაჩინეს ჩამოვარდნილი რუსული ლაინერის „შავი ყუთი"**

საბორტო თვითჩამწერი უკვე მიიტანეს ტრაგედიის ადგილიდან საშვეულმფრენო მოედანზე ჩიჯერუკის დასახლებაში და უჩვენეს ჟურნალისტებს. მისი შინაარსის გაშიფვრა მოხდება ჯაკარტის ლაბორატორიაში რუს და ინდონეზიელ ექსპერტებთან ერთად, განაცხადეს რუსეთის ფედერაციის საელჩოში.

* * *

**ობამას და ბაიდენის საფინანსო მდგომარეობის შემოწმებამ ვერ გამოავლინა ინტერესების კონფლიქტი**

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა თავისი ოჯახის საერთო საფინანსო მდგომარეობა შეაფასა 2,6 მილიონიდან, 8,3 მილიონ დოლარამდე. ცოლ-ქმარს აქვთ მიმდინარე და საშემნახველო ანგარიშები იმ ბანკში, რომელმაც ამ დღეებში განაცხადა 2 მილიარდი დოლარის ოდენობის დანაკარგების შესახებ.

* * *

**ანგოლაში ოპოზიციური პარტიის 40-ზე მეტი წევრი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევაში დაიღუპა**

უნიტას წარმომადგენლები ბრუნდებოდნენ კრებიდან, როდესაც მათ ავტობუსს დაეჯახა მძიმე სატვირთო მანქანა, რომელიც საპირისპირო მიმართულებით მოძრაობდა. ტრაგედია დასახლებულ პუნქტ მენგასთან მოხდა.

* * *

**ჯორჯ ბუშ-უმცროსმა მაინც დაუჭირა მხარი რომნის, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატს რესპუბლიკური პარტიიდან**

დანარჩენმა ბუშებმა თავიანთი მხარდაჭერა რომნის ჯერ კიდევ მარტში გამოუცხადეს. მაშინ ამის შესახებ საჯაროდ განაცხადეს ამერიკის შეერთებული შტატების 41-ე პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა-უფროსმა, ყოფილმა პირველმა ლედიმ ბარბარა ბუშმა, ფლორიდის შტატის ყოფილმა გუბერნატორმა ჯებ ბუშმა. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების 43-ე პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა-უმცროსმა უპირატესობა გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ გამოხატა.

## დედაქალაქი

# დაბინძურებული, დაავადებული, გაჩეხილი...

**ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით თბილისში სავალალო მდგომარეობაა. ჰაერის დაბინძურების მთავარ მიზეზად კი, ავტომობილებითა და სხვა სახის ტრანსპორტით გადატვირთული ქუჩები, მიმდინარე მშენებლობები და კატასტროფულად შემცირებული მწვანე საფარი სახელდება. ასეთი სისწრაფით უზარმაზარი და საღი ხეების გაჩეხვის პრეცედენტი დედაქალაქში არავის ახსოვს.**

საქართველოში მოძრავი მანქანების უმრავლესობა თბილისშია თავმოყრილი. **ქალაქში ხშირია საცობები, რომლის დროსაც ყველაზე დიდი რაოდენობით გაიფრქვევა მავნე ნივთიერებები. მტკვრის ხეობაში მოქცეული დედაქალაქი ბუნებრივად ცუდად ნიავდება და განსაკუთრებით ზაფხულობით აქ სმოგი ხშირია.**

მწვანეთა პარტიის ლიდერის გიორგი გაჩეჩილაძის განცხადებით, თბილისში ჰაერი კიდევ უფრო დაბინძურდა ავტოტრანსპორტის ტექნიკური დათვალიერების შეჩერების შემდეგ. ამასთან, არ მოწმდება საწვავის ხარისხიც. მეორადი მანქანების შემოყვანის აკრძალვაზე საუბარიც კი ზედმეტია.

**„მანქანის გამონაბოლქვი 200-მდე ტოქსიკურ ნივთიერებას შეიცავს, ესენია: ტყვია, უჯერი და ნაჯერი ნახშირწყალბადები, აზოტი, გოგირდი, ასევე ბენზოპირენი, რომელიც ტყვიაზე უარესია და კანცეროგენია. მართალია, ამ ნივთიერებას მანქანის გამონაბოლქვი ძალიან მცირე რაოდენობით შეიცავს, მაგრამ ის ძალიან ცუდად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე. გარემოს დაცვის სამინისტროს მონიტორინგის ცენტრი კი სრულყოფილად არ იკვლევს ჰაერის დაბინძურების ხარისხს, მაგალითად, არ ზომავენ ჰაერში ტოქსიკურ მინარევებს, ალბათ, აკრძალული აქვთ“,** — ამბობს გაჩეჩილაძე.

სპეციალისტების გაანგარიშებით, დედაქალაქიდან ატმოსფეროში ყოველწლიურად დაახლოებით 276 500 ტონა მავნე ნივთიერება ხვდება, რომლის 83,3% ავტოტრანსპორტზე მოდის. ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით, საქართველოში ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

დარგის სპეციალისტთა თქმით, **თბილისში მტვრის საშუალო კონცენტრაცია დასაშვებ ნორმას 2,9-ჯერ აღემატება, აზოტის დიოქსიდი კი ნორმაზე 2,3-ჯერ მეტია. ცნობისთვის, 2000 წელს თბილისი ევროპაში ყველაზე დაბინძურებულ ქალაქად აღიარეს. მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ თითქმის 12 წელი გავიდა, სიტუაცია ამ მიმართულებით არ გამოსწორებულა.**

უფრო მეტიც, როგორც გარემოსდამცველები ამბობენ, თბილისში ეკოლოგიური მდგომარეობა ბოლო წლებში კიდევ უფრო დამძიმდა, რადგან დედაქალაქში უდიდესი სისწრაფით იჩეხება აბსოლუტურად საღი ხეები.

**„როგორც ჩანს, თბილისში მწვანე ნარგავების საერთოდ განადგურებას აპირებენ. მათ ორმაგი მიზანი აქვთ. პირველი: ამაში ფული კეთდება. მრავალწლიან ხეებს ჭრიან და მათ მაგივრად ახალ ნერგებს რგავენ, რომელიც ქალაქის ბიუჯეტს ათმაგი ფასი უჯდება. მეორე: მონოპოლისტ ფირმებს, რომლებიც სხვადასხვა მაღაზიებს ხსნიან და ქსელებს აფართოებენ, ეს ხეები ხელს უშლის თავიანთი ბიზნესინტერესების განხორციელებაში.**

**მაგალითად, ჭავჭავაძეზე პირწმინდად მოჭრეს ხეები, რადგან მაღაზიას აშენებენ. მრავალწლიანი ხეების მაგივრად კი გაურკვეველი ფუნქცია-დანიშნულების ნარგავები დარგეს“,** — აცხადებს მწვანეთა პარტიის ლიდერი.

„გრინფისის“ მხარდამჭერთა ჯგუფის თანათავმჯდომარე, ეკოლოგიის მაგისტრი ლაშა ჩხარტიშვილი კი ამბობს, რომ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით,



თბილისში გამწვანებული ტერიტორიები ევროპულ სტანდარტებზე ათჯერ ნაკლებია.

**„საინტერესოა, რომ ხელისუფლების დაინტერესებული წარმომადგენლები ბოლო პერიოდში ხეების გაჩეხვის შედარებით ფარულ ტაქტიკას მიმართავენ. ისინი დღისით სამუშაოს ამზადებენ და საქმეს იიოლებენ, რომ ღამით ადვილად გაჩეხონ ხეები. ასე მოხდა „ვორონცოვზე“ და ბარათაშვილის ქუჩაზეც, სადაც აბსოლუტურად საღი ცაცხვის ხეები გაიჩეხა“,** — აცხადებს ეკოლოგიის მაგისტრი.

**„იჩეხება აბსოლუტურად ყველა ტიპის გამწვანება. ბაღები და პარკები, ქუჩისპირა გამწვანება... ხეები კორუფციული ინტერესების გამო ან სახლების ასაშენებლად იჩეხება. გამწვანებული ტერიტორიების ადგილზე ადმინისტრაციული შენობები და პოლიციის შუშის შენობებს აგებენ.**

**დედამიწაზე გაუგია ვინმეს, რომ შეღებილი ფასადების თვალსაჩინოების გამო ვინმეს ხეები გაეჩეხოს?! რამდენად თავსებადია უხეო ქალაქი და ამასთან ერთად ევროპულ განვითარებასა და ქალაქის მშენებლობის ევროპულ სტილზე საუბარი?!**

**ახლახან მსოფლიოს ოთხას ქალაქს შორის თბილისი უსაფრთხოების თვალსაზრისით მე-200 ადგილზე გამოცხადდა. ერთ-ერთი კრიტერიუმი სწორედ ჰაერის დაბინძურება იყო, ამასთან კი ხეების ჩეხვა პირდაპირ კავშირშია“,** — აცხადებს ლაშა ჩხარტიშვილი.

ჰაერის დაბინძურება კი უამრავი დაავადების გამომწვევი მიზეზი ხდება. მაგალითად, მოსახლეობაში სასუნთქი გზებისა და ფილტვის დაავადების პროცენტული მაჩვენებლებით თბილისი მოწინავეა, როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოში. ჰაერის დაბინძურებასთან ერთად, დაავადებულ ადამიანთა რაოდენობაც იზრდება.

დედაქალაქში ჰაერის დაბინძურებაზე საუბრობენ ქალაქის მკვიდრნიც. კონსალტინგური კომპანია „ეისითი“-ს კვლევის მიხედვით, ათიდან რვა თბილისელი (77%) თვლის, რომ თბილისში ეკოლოგიურად ცუდი ან ძალიან ცუდი მდგომარეობაა. ამასთან, საგულისხმოა, რომ რესპონდენტების უმრავლესობა (62%) ბოლო 10 წლის განმავლობაში ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესებას ამჩნევს.

**რაც შეეხება მიზეზებს. ძირითად მიზეზად სახელდება ტრანსპორტთან დაკავშირებული პრობლემები: გაუმართავი ავტომანქანების გამონაბოლქვი (70%), ცუდი ხარისხის საწვავი (57%) და გზების გადატვირთულობა (42%). მიზეზებს შორის ასევე დასახელდა ფაბრიკა-ქარხნების გამონაბოლქვი და ტყეების გაჩეხვა-განადგურების ფაქტები.**

**ეკა ბაქრაძე**

## კულტურული ცხოვრება

# საგუნდო მუსიკის დღესასწაული

**ამ დღეებში მოწმენი გავხდით ფართო მასშტაბის მუსიკალური ღონისძიებისა: თბილისის საკონცერტო დარბაზებში გაიმართა ევგენი მიქელაძის სახელობის საშემსრულებლო ხელოვნების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული საგუნდო მუსიკის მე-2 ფესტივალი, რომელიც ქალაქის მერიისა და კულტურულ ღონისძიებათა ცენტრის მხარდაჭერით ჩატარდა.**

ფესტივალში მონაწილეობდა 9 საგუნდო კოლექტივი: აფხაზეთის სახელმწიფო კაპელა, თბილისის ყოვლადწმინდა სამების კათედრალის საპატრიარქოს გუნდი, გორის ქალთა კამერული გუნდი, თბილისის კონსერვატორიის სტუდენტთა ორი გუნდი, რუსთავის ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „ფიროსმანი“, ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის კაპელა, საქართველოს სახელმწიფო საგუნდო კაპელა და თელავის ქალთა კამერული გუნდი „კახეთის ჰანგები“.

ფესტივალის კონცერტები მაღალ პროფესიულ დონეზე ჩატარდა, მრავალფეროვანი და საინტერესო პროგრამით. სრულდებოდა მსოფლიო კლასიკური საგუნდო მუსიკის ნიმუშები, ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები, ქართული სასულიერო ჰანგები. კონცერტებს ჩინებულად დირიჟორობდნენ ქეთევან მანელიშვილი, პავლე დემურიშვილი, არჩილ უშვერიძე და თბილისის კონსერვატორიის სტუდენტები. დასაფასებელია აგრეთვე ქორმაისტერ ლელა დოლიძის, დირიჟორის ასისტენტის თამარ თალაკვაძისა და კონცერტმაისტერების მიერ გაწეული შრომაც.

საგანგებოდ შევჩერდები დასკვნით კონცერტზე, რომელმაც ღირსეულად დააგვირგვინა შესანიშნავი ფესტივალი.

კონცერტის პირველ განყოფილებაში ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის კაპელამ ქეთევან მანელიშვილის დირიჟორობით და მომღერალი სოლისტების სულხან ჯაიანისა და ერა დოლოიანის მონაწილეობით მშვენივრად შეასრულა გ.სვირიდოვის „სამახარებლო“ (დილის ზარების რეკვა — ციკლიდან „პუშკინის გვირგვინი“), ს.რახმანინოვის „აწ განუტევე“ („საღამისო ლოცვებიდან“) და ი.კეჭაყმაძის „ლაშარის გზაზე“.

შესვენებისას ყველა მონაწილე საგუნდო კოლექტივის ხელმძღვანელი დაჯილდოვდა თბილისის მერიის სიგელებითა და სამახსოვრო საჩუქრებით.

ცენტრალური ადგილი კონცერტში დაიკავა ახალი ქართული მუსიკის კლასიკურმა ნიმუშმა — ოთარ თაქთაქიშვილის ორატორიამ „რუსთაველის ნაკვალევზე“, რომელმაც დღიდან მისი პირველი შესრულებისა (1964), მოიარა საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საკონცერტო დარბაზები, შემდგომ კი, ჟამთა სიავის პირობებში, აღარ აჟღერებულა თითქმის 30 წლის მანძილზე.

ორატორიის შესრულებისათვის მადლიერების გრძნობით უნდა მოვიხსენიოთ საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, ფესტივალში მონაწილე საგუნდო კოლექტივები, სოლისტი ნიკოლოზ ლაგვილავა და დირიჟორი არჩილ უშვერიძე ამ დიდ და საპასუხისმგებლო მხატვრულ ამოცანასთან წარმატებული „შეჭიდებისათვის“.

ოთარ თაქთაქიშვილის ორატორია ჩვენ წინაშე წარმოდგა თავისი პირველქმნილი დიდებულებითა და მშვენიერებით, როგორც ჭეშმარიტად ქართულ-ეროვნული შინაარსისა და სტილის ნაწარმოები. ამასთან, ხაზი უნდა გაესვას იმ პრინციპული ხასიათის გარემოებას, რომ თავისი ორატორია კომპოზიტორმა ააგო ქართული საგალობლების ინტონაციურ-ჰარმონიულ საფუძველზე, რაც საბჭოთა სინამდვილეში, რბილად რომ ვთქვათ, „არ იყო რეკომენდებული“!

ახალგაზრდა დირიჟორმა არჩილ უშვერიძემ (თავისი ძირითადი პროფესიით იგი საგუნდო ლოტბარია) წარმატებით გაართვა თავი თაქთაქიშვილის პარტიტურის სიძნელეებს, კარგად გაიაზრა ორატორიის დრამატურგიული განვითარების ხაზი — დაწყებული ჩუმი, კდემამოსილი და ასკეტური ხმოვანებებით (პირველი ნაწილები) და დამთავრებული გენიალური (დიახ!) ფინალით — „დღეს აღესრულა შოთა რუსთველი“, რომელიც ჟღერდა, როგორც ნამდვილი სამგლოვიარო და, ამავე დროს, სადიდებელი ჰიმნი.

ორატორიაში, სოლისტის პარტია, როგორც ცნობილია, ბანისათვის არის დაწერილი, მაგრამ ნიჭიერი ახალგაზრდა მომღერალი ნიკოლოზ ლაგვილავა თავისი ტემბრულად მდიდარი და ფართო დიაპაზონის ბარიტონით უპრობლემოდ ძლევს ტესიტურილ სიძნელეებს და, რაც მთავარია, მღერის ძალიან მუსიკალურად და გამომსახველად.

რაც შეეხება გუნდს, მიუხედავად თავისი „ჭრელი“ შემადგენლობისა, იგი შეწყობილად და კომპაქტურად ჟღერდა. ქების ღირსია სიმფონიური ორკესტრიც, რომლის პარტიაც საკმაოდ რთული და მდიდარია.

დასასრულ, კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ფესტივალის ორგანიზატორებს, მონაწილეებსა და ყველა მხარდამჭერს.

**გულბათ ტორაძე**



© Gia Gogatishvili



© Gia Gogatishvili

◎ „ევრო – 2020“

# მიტოვებული, ვით მეფე ლირი




**ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, ქართული ფეხბურთის მამებმა ქვეყნის უმაღლეს ხელისუფალთა და სპორტის მესვეურთა ნება აღასრულეს და „ევრო – 2020“-ის ფინალური ტურნირის სამასპინძლოდ უეფაში შესაბამისი განაცხადი წარადგინეს.**

როგორც იცით, თავდაპირველად ჩვენთან ერთად ეს საპატიო ჭაპანი აზერბაიჯანელებსაც უნდა გაეწიათ, მაგრამ მათ ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორობისთვის ბრძოლა ამჯობინეს და გამოკვეთილი ფავორიტის თურქეთისა და ირლანდია – შოტლანდია – უელსის გაერთიანებული ტრიოს წინააღმდეგ მარტო დაგვტოვეს.

რასაკვირველია, როცა ურემი გადაბრუნდა, გზაც მერე გამოჩნდა, თუმცა ძლიერთა ამა ქვეყნისათა კრძალვით უნდა შევბედოთ: თქვე ოჯახაშენებულებო, წინასწარ წაგებულ ომში ჩაბმამდე ხომ არ აჯობებდა ოსმალებს შეამხანაგებოდით და მათ კალთას შეფარებულებს გაგეჩალებინათ პიარკამპანია – ხომ ისედაც მეზობელთა ხუშტურებზე დადიხართ და ყველა სფეროში მათ დაკრულზე ცეკვავთ?

სხვათა შორის, საამისოდ საკმარისი დრო გქონდათ – ამ იდეის ავტორმა აზერებმა ხომ „ბუქსაობა“ იმ დღესვე დაიწყეს, რაც საკაშვილმა მათივე ინიციატივა მიითვისა?

თუმცა, აქ უკვე მეორე კითხვა იბადება – მოგვაკუთვნებდნენ კი თურქები სათადარიგო საბურავის როლს? მათ ხომ წარმატების თითქმის ასპროცენტიანი გარანტია აქვთ მიღებული უეფას პრეზიდენტ მიშელ პლატინისაგან და რატომღა გაგვიყოფდნენ გამარჯვებულის დაფნის გვირგვინს?

**გია პლატონიშვილი**

◎ ჭიდაობა

# „კლასიკოსები“ – ოკეანის გაღმა



**საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა ლონდონის ექვსი საგზური მოიპოვეს. მსოფლიოს ორგზის ვერცხლის პრიზიორი მანუჩარ ცხადაია უწინდელ წონას – 66 კილოს დაუბრუნდა, 74-ში ლიცენზია ზურაბ დათუნაშვილმა კი დაიმსახურა და ნაკრებში მოხვედრის უპირველესი კანდიტატიცაა, თუმცა მას კონკურენტიც ჰყავს ოლიმპიური ჩემპიონი მანუჩარ კვირკველია, რომელიც ნაკრებთან ერთად გუშინ ამერიკის შეერთებულ შტატებში გაფრინდა.** ჩვენები 19 მაისს მასპინძლებს ამხანაგურად გაეჯიბრებიან (ისე, ერთდღიანი შეხვედრისთვის ღირდა კი ამ სიშორეზე წასვლა?! ნუთუ ევროპაში არ მოიძებნა სპარინგპარტნიორი?! თუმცა, ჭიდაობის ფედერაციისა და ნაკრების მესვეურებმა თავიანთი საქმე თავად იციან). ეროვნული გუნდის თავკაცმა ბეგი დარჩიამ ამერიკელებთან დასაპირისპირებლად ლაშა გოგიტაძე (55კ, რევაზ ლაშხი (60კ, მანუჩარ ცხადაია (66კ, მანუჩარ კვირკველია (74კ, ვლადიმერ გეგეშიძე (84კ, სოსო ჯაბიძე (96კ და გურამ ფერსელაძე (120კ წაიყვანა. ქართველი კლასიკოსები აშშ-დან 23 მაისს დაბრუნდებიან.

**ლაშა დიდია**

◎ ფეხბურთი

# ესაა პიკასოს ბიჭი?




**„ტელეიმედთან“ ამასწინანდელ ექსკლუზიურ ინტერვიუში თბილისის „დინამოს“ მეპატრონემ რომან ფიფიამ გულახდილად განაცხადა – ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი კლუბის მომავალი თავკაცის ვინაობა მაისის მიწურულს დაზუსტდება, თუმცა ახლავე შემიძლია გითხრათ, რომ ამჟამად მოლაპარაკება ორ გერმანელ სპეციალისტთან მიმდინარეობს და ჩვენც არჩევანს ერთ-ერთ მათგანზე შევაჩერებთო.**

მოგეხსენებათ, საქართველოში არაფერი იმალება და უკვე გაჟღერდა კიდეც შესაძლო კანდიდატის სახელი და გვარი. ესაა „ფრაიბურგის“ ყოფილი დამრიგებელი ფოლკერ ფინკე, რომელსაც ქართველ ლეგიონერებთან (იაშვილი, კობიაშვილი, ხიზანეიშვილი და სხვებიძ თანამშრომლობის მდიდარი გამოცდილება აქვს.

ბუნებრივია, მხცოვანი მწვრთნელის საწინააღმდეგო ბევრი შეიძლება არაფერი გვქონდეს, მაგრამ ერთ კითხვას მაინც დავსვამთ: ნუთუ ნაფტალინწაყრილი ალემანის კვალიფიციურობით შესაძლებელი გახდება „თეთრ-ლურჯებისა“ და მათი ქომაგების მოჭარბებული ამბიციების დაკმაყოფილება?

**გიორგი შოთაძე**

◎ სამბო

# საალაფოდ – ჩრდილოეთში



**რუსეთის დედაქალაქში 18-21 მაისს სამბისტთა ევროპის ჩემპიონატი გაიმართება. საქართველოს ნაკრები, რომელიც ყოველწლიურად მედლებით დახუნძლული ბრუნდება ნებისმიერი შეჯიბრებიდან, მოსკოვს ასეთი შემადგენლობით გაემგზავრა:** გენადი ჩირგაძე (52კ, უშანგი კუზანაშვილი (57კ, დავით ასუმბანი (62კ, ლევან ნახუცრიშვილი (68კ, ბექა ბერულავა (74კ, გიორგი ბაინდურაშვილი (82კ, დავით კარბელაშვილი (90კ, მირიან პავლიაშვილი (100კ და ნოდარ მეტრეველი (+100კ.

ქალებში საქართველოს სახელით შორენა შარაძე (64კ, ნინო ოძელაშვილი (72კ და ირინა ლეონიძე (80კ იჭიდავებენ.

◎ სპორტული ცეკვები

# „კავკასიის თასი“ მეჩვიდმეტედ

**წლეულს მეჩვიდმეტედ გაიმართა სპორტულ მოცეკვავეთა საერთაშორისო ტურნირი „კავკასიის თასი“. საასპარეზოდ საქართველოს დედაქალაქს 16 ქვეყნის წარმომადგენლები ეწვივნენ. სულ მედლებისთვის 500-მდე ქალ-ვაჟი იბრძოდა.** ლათინურამერიკულ ცეკვებში „ოქრო“ მარტე სმოლკოს და ვიქტორია პუხოვიკას (ლატვიაძ ერგოთ. მეორე ადგილი მასპინძლებმა – ვიქტორ ბურჭულაძემ და კატერინა კოზმამ დაიკავეს. ბურჭულაძე ბათუმელია, მაგრამ კარგა ხანია, მშობლებთან ერთად მოსკოვში ცხოვრობს. რამდენიმე წლის წინათ ჭაბუკებში მსოფლიოს პირველობის ოქროს მედალი მოიპოვა, ახალგაზრდებში კი ევროპის ჩემპიონობა დაიმსახურა. ახლა თბილისის სპორტკლუბ „თელას“ წევრია და უკრაინელ კოზმასთან ერთად საქართველოს სახელით გამოდის. მესამე ადგილზე მინსკელები გენადი ცინკევიჩი და მზია ორველაშვილი გავიდნენ. ეს წყვილი წლების განმავლობაში საქართველოს სპორტულ ღირსებას იცავდა, მაგრამ სათანადო ხელშეწყობა რომ არ ჰქონდათ, ბელარუსში გადავიდნენ საცხოვრებლად.



ევროპულ ცეკვებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ეგორ სავოსტოვი – ვიქტორია ზაიჩენკო (ბელარუსიძ, 2. ოთარ ფოლადაშვილი – ჯულიანა ბარგნარი (საქართველოძ, 3. მანსურ სმაგულოვი – ცირა მგელიაშვილი (ყაზახეთიძ. **ახალგაზრდები.** 10 ცეკვის ჯამში. 1. ეგორ სავოსტოვი – ვიქტორია ზაიჩენკო (ბელარუსიძ, 2. მანსურ სმაგულოვი – ცირა მგელიაშვილი (ყაზახეთიძ, 3. ირაკლი ძაძამია – თამარ ტურაშვილი (საქართველოძ. **იუნიორებსა და იუვენალებში** ილიას აიასბაევი – სალომე მგელიაშვილის (ყაზახეთიძ, ერეკლე გვირგვლიანი – სუზანა ბაღდასარიანის (საქართველოძ, ბაჰადურ აბასოვი – კამილა ახმედოვას (აზერბაიჯანიძ წყვილებმა იყოჩაღეს.



ბურჭულაძე – კოზმას დუეტი აგვისტო-სექტემბერში გერმანიისა და პოლონეთის საერთაშორისო ტურნირებში იასპარეზებს. ბათუმი კი 7-8 ივლისსა და დეკემბრის მეორე დეკადაში სპორტულ მოცეკვავეთა საერთაშორისო ტურნირებს უმასპინძლებს.

**გივი გაგუა**

◎ ჭადრაკი

# ლიდერობს ფავორიტი



**თბილისის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა 71-ე ეროვნული ჩემპიონატი, რომელშიც 12 დიდოსტატი და საერთაშორისო ოსტატი მონაწილეობს.** მათ შორისაა საქართველოს ოთხგზის ჩემპიონი ბაადურ ჯობავა, რომელსაც მსგავს შეჯიბრებებში ბოლო ოთხი წელიწადი არ უასპარეზია. ტურნირის რეიტინგფავორიტმა განვლილ სამ ტურში ორი პარტია მოიგო, ერთი ყაიმით დაამთავრა და 2,5 ქულით ლუკა პაიჭაძესთან ერთად ლიდერობს. განსაკუთრებით ახალგაზრდა მოჭადრაკის ირაკლი ბერაძის წარმატება უნდა აღინიშნოს. პირველ ტურში მან შავი ფიგურებით საქართველოს 2010 წლის ჩემპიონ მერაბ გაგუნაშვილს აჯობა, მესამეში კი ის ნახევარი ქულა ჯობავას სწორედ ბერაძემ დააკარგვინა.

სამი ტურის შემდეგ 2-2 ქულა აქვთ გაგუნაშვილსა და ზურაბ ჯავახაძეს. 1,5-1,5 ქულა – გიგა ყუფარაძეს, დავით ლომსაძეს, ბერაძეს, დავით არუთინიანსა და დავით ზარქუას, ქულა – ლევან ფანცულაიას, ივერი ჭილაძემ კი სამივე პარტია დათმო.

◎ 64 უჯრა

# IX. კუ და მხედარი

**ნათქვამია, გემოვნებაზე არ დავობენო, მაგრამ თუ ამ ორ ფიგურას შევადარებთ ერთმანეთს, შეიძლება ითქვას – გემოვნებაზე მართლაც რომ დავობენ.**

ერთნი თავის სიმპათიებს დიაგონალების მფლობელ კუს ანიჭებენ, მეორენი – გერგილიან მხედარს.

კვალიფიციურმა მოჭადრაკეებმა კი კარგად იციან, რომ ეს ფიგურები სხვადასხვა „ჯიშის ცხოველები“ არიან და მათი ინდივიდუალური თვისებები ქმნიან შესანიშნავ სინთეზს საერთო მიზნის მისაღწევად. მიზანი კი ერთია – მოწინააღმდეგის დაშამათება.

საილუსტრაციოდ გთავაზობთ ლეისენის (თეთრებიძ და დურასის ორთაბრძოლის დაბოლოებას.

მოამზადა
**თამაზ შენგელიამ**

***ორმაგი ქიში და ლაზიერის შეწირვა „დახშული შამათის“ საწინდარია.***

1905



1. მ7e6+ – მეe8 2. ლf8+!– მ:f8 3. მg7X

ჩვენი კარაბადინი

# კომპიუტერით გამოჭერილები



**როდესაც იცი, თუ როგორ უნდა გამოიყენო კომპიუტერი, შეიძლება თავიდან აიცილო ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ბევრი პრობლემა.**

### მხედველობა საფრთხეშია

**ეკრანული გამოსხივების თვალისთვისაც შეუმჩნეველი ვიბრაციაც კი ძაბავს თვალის კუნთებს.**

**რა ვქნათ?**

● აირჩიეთ ეკრანის საშუალო აწყობა სიკაშკაშის, ფერთა სიუხვისა და კონტრასტების მიხედვით.

● მონიტორები მაღალი გადაწყვეტით უფრო ნაკლებად საზიანოა თვალებისათვის, ვიდრე მონიტორები დაბალი გადაწყვეტით. თუ თქვენ და თქვენი ბავშვები აპირებთ ისხდეთ კომპიუტერთან დიდხანს, თქვენთვის აუცილებელია სწორედ ასეთი – ძვირი და ფართო მონიტორი.

● დიდი მნიშვნელობა აქვს მიიღოთ ზომები მონიტორიდან არეკლვის შემცირებისათვის. შეაბრუნეთ მონიტორი ისე, რომ არც პირდაპირ მის წინ, არც უკან არ იყოს შუქის კაშკაშა წყარო.

● სუსტი მხედველობის დროს კომპიუტერთან ჯდომა შეიძლება მხოლოდ სათვალით.

● დაიცავით მანძილი თვალიდან ეკრანამდე (50-70 სანტიმეტრიძ.

● გააკეთეთ შესვენებები მუშაობაში და შეასრულეთ ვარჯიშები თვალებისთვის მონიტორის წინ მუშაობის ყოველი 15-25 წუთის შემდეგ.

### გული საფრთხის წინაშე



**რისკის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ფაქტორი, რომელიც გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე ახდენს გავლენას, არის ეკრანის ელექტრომაგნიტური გამოსხივება.**

**რა ვქნათ?**

● შეიძინეთ ხარისხიანი სითხეკრისტალური მონიტორები, რომელთა გამოსხივება მრავალგზისაა დაქვეითებული. თუმცა მათი დაცვა მუდმივი როდია: დაახლოებით ყოველ 5 წელიწადში ერთხელ სითხეკრისტალური მონიტორი უნდა შეიცვალოს ახლით.

● არ არის რეკომენდებული დავტოვოთ კომპიუტერი ჩართული დიდი ხნით, თუ თქვენ მას არ იყენებთ.

● არ არის საჭირო გამოვრთოთ ფუნქცია „მძინარე რეჟიმი" მონიტორისთვის. უმჯობესია გავზარდოთ მისი ჩართვის დროებითი ინტერვალი...

● იმის გამო, რომ ელექტრომაგნიტური გამოსხივება მოდის მონიტორის ყველა ნაწილიდან (მონიტორის გამოსხივების დონე გვერდებზე და უკნიდანაც უკვე მაღალია, ვიდრე წინიდანძ, ყველაზე უხიფათოა დავდგათ კომპიუტერი კუთხეში ან ისეთ ადგილზე, რომ არავის შეეძლოს იყოს მონიტორის გვერდით ან უკან.

● შესაძლებლობის შესაბამისად უნდა შევამციროთ კომპიუტერთან მუშაობის დრო.

### იტანჯება ხერხემალი

**ჯდომით მდგომარეობაში დიდხანს ყოფნამ არ შეიძლება გავლენა არ მოახდინოს ბჯენით-მოძრაობის აპარატზე, ჩონჩხსა და კუნთებზე.**

**რა ვქნათ?**

● ზიანის შესამცირებლად საკმარისია რეგულარულად შევისვენოთ, ავდგეთ ფეხზე და რამდენიმე წუთით შევასრულოთ ფიზიკური ვარჯიშები. თუ სახლში მუშაობთ, ეს შეიძლება იყოს ჩაჯდომებიც, გადახრებიც წინ და უკან. თუ ოფისში მუშაობთ – ატრიალეთ კისერი, ხელები მხრებსა და მაჯებში, მოკუმშეთ და გაშალეთ თითები.

● თუ კომპიუტერით სარგებლობთ ოჯახის სხვადასხვა სიმაღლის წევრები, მაშინ უმჯობესია შევიძინოთ სპეციალური სკამი, რომლის საჯდომის სიმაღლეც ადვილად წესრიგდება.

● ყურადღება მიაქციეთ, რომ სკამი, რომელზეც ზიხართ, არ იყოს ძალიან მაღალი ან ძალიან დაბალი.

● ფეხებს უნდა ჰქონდეთ მოხერხებული საყრდენი – 20 სანტიმეტრის სპეციალური სკამი.

### ბავშვები ქსელში

**კიდევ ერთი პრობლემა – თამაშომანია. დღეს მილიონობით ადამიანი ნებაყოფლობით იმწყვდევს თავს კომპიუტერული თამაშების ფარგლებში. ჰეიმერი ივიწყებს ორგანიზმის ისეთ ელემენტარულ მოთხოვნებს, როგორებიცაა ძილი, კვება და პირადი ჰიგიენა. განსაკუთრებით ხშირად ავადმყოფური დამოკიდებულებით იტანჯებიან ბავშვები.**

**რა ვქნათ?**

● თამაშის ხანგრძლივობა შეარჩიეთ ბავშვის ასაკისა და თამაშის ხასიათის შესაბამისად. თუ თამაშის რიტმი დაძაბულია, ის დიდხანს არ უნდა გრძელდებოდეს.

● ნუ შეაწყვეტინებთ ბავშვს ეპიზოდის დამთავრებამდე – ის მაშინ თამაშს ტოვებს წარმატებით შესრულებული საქმის რწმენით.

● ეცადეთ, რომ ბავშვმა აითვისოს სათამაშო სეანსების ხანგრძლივობის მთავარი პრინციპი – არ უნდა ითამაშო ისეთი მნიშვნელოვანი რამეების საზიანოდ, როგორებიცაა ძილი, ჭამა, სწავლა, გასეირნება სუფთა ჰაერზე.

### ფრთხილად, სტრესებია!

**ხშირად კომპიუტერთან მუშაობა იწვევს სტრესს, მაგალითად, ინფორმაციის დაკარგვის დროს.**

**ასეთი სტრესის შედეგად ხდებოდა ინფარქტებიც!**

**რა ვქნათ?**

● მუშაობა კომპიუტერზე მოითხოვს უკიდურეს ყურადღებას. ყოველთვის შეინახეთ ინფორმაცია და ყურადღებით იკითხეთ მონიტორზე გამოჩენილი გაფრთხილებები.

### მიკრობს არ სძინავს!

**მტვერმა და ჭუჭყმა, რომლებიც კომპიუტერის სხვადასხვა მოწყობილობებში ჩნდება, შეიძლება მოახდინოს ალერგიული რეაქციებისა და კუჭნაწლავთა ინფექციის პროვოცირება.**

**რა ვქნათ?**

● გადაწმინდეთ კორპუსი, მონიტორი, კლავიატურა და „თაგუნა" სპეციალური საწმენდი საშუალებებით.

● დრო და დრო პროცესორი ჩააბარეთ სახელოსნოში შინაგანი ზედაპირებისა და მოწყობილობის გასაწმენდად, ეს განსაკუთრებით ნოუთბუკების თერმორეგულატორებს შეეხება.

**ანა ბარინოვა**

# გამოსხივების ურჩხულები

**მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ თავის ტვინში არსებობს ერთგვარი „ცხელი წერტილები", რომლებზე ზემოქმედებით მობილური ტელეფონები ადამიანის სიცოცხლისთვის უაღრესად საშიშ დაავადებათა „ჩართვის მექანიზმებს" ამოქმედებენ.**

– მობილური სატელეფონო კავშირი სულ რაღაც 15 წლისაა, ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის ჯანმრთელობაზე მისი ზემოქმედების შესასწავლად უკვე მრავალი გამოკვლევაა ჩატარებული, ამ ზეგავლენის მასშტაბის დადგენა ჯერჯერობით ძნელია, – აცხადებს ელექტრომაგნიტური უსაფრთხოების ცენტრის დირექტორი, პროფესორი ოლეგ გრიგორიევი. – ერთის თქმა კი დანამდვილებით შეიძლება: **ჩატარებულ კვლევათა შედეგები საკმაოდ არასახარბიელოა.** ელექტრომაგნიტური გამოსხივება ადამიანის ჯანმრთელობაზე ძალიან მავნე ზემოქმედებას რომ ახდენს და ონკოლოგიურ დაავადებათა თავისეურ „ჩამრთველ მექანიზმს" რომ წარმოადგენს, დიდი ხანია ცნობილია. **მობილური ტელეფონი ყურთან რომ მიგვაქვს, იგი უშუალოდ თავის ტვინზე, სასმენ და ვესტიბულარულ აპარატებზე, აგრეთვე თვალის ბადურაზე ზემოქმედებს.**

მეცნიერის თქმით, ცოტა ხნის წინათ ჩატარებულმა კომპიუტერულმა მოდელირებამ აჩვენა, რომ **შესაძლოა თავის ტვინში არსებობს ერთგვარი „ცხელი წერტილები", რომლებიც განსაკუთრებულად მგრძნობიარენი არიან გამოსხივებისადმი. სავარაუდოა, რომ სწორედ ეს წერტილები არიან პათოლოგიური პროცესების კატალიზატორები.**

დღესდღეობით ადამიანები მობილური ტელეფონებით საათობით ლაპარაკობენ, რაც თავის ტვინის უზარმაზარ დატვირთვას იწვევს. ცალკე თემაა ბავშვები: მათი თავის ტვინი **ჯერ კიდევ ჩამოყალიბების სტადიაშია, ამიტომ ელექტრომაგნიტური ველები მასზე განსაკუთრებით ძლიერად ზემოქმედებენ.** გასაგებია, რომ ბავშვებისთვის ფიჭური ტელეფონის ქონა უსაფრთხოების საკითხია, მაგრამ სავსებით შესაძლებელია მისთვის მობილურით კავშირის შეზღუდვა: მაგალითად, მშობლებს ტექსტური შეტყობინება გაუგზავნოს, ანდა რამდენიმე სიტყვით შემოიფარგლოს, ვთქვათ, „სკოლიდან გამოვდივარ", „სახლში მოვედი" და ა.შ. თუმცა უმჯობესია, რომ ბავშვს მობილური ტელეფონი საერთოდ არ ჰქონდეს, რადგან მან შეიძლება არასასურველი ზეგავლენა იქონიოს მის როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობაზე.

– აღსანიშნავია ისიც, რომ ჯერ არ მინახავს ისეთი მოწყობილობა, რომელიც მობილურ ტელეფონს უსაფრთხოს ხდის, – განაგრძობს პროფესორი გრიგორიევი. ჩვენ მრავალი ასეთის ტესტირება ჩავატარეთ, თუმცა უშედეგოდ. მაგრამ **შეიძლება არ ვატაროთ მობილური ტელეფონი ჯიბით, არ დავიდოთ იგი გვერდით დასვენების დროს, საუბრისას ვისარგებლოთ მავთულის გარნიტურით ან ხმამაღალი კავშირით. და კიდევ ერთი: ვიდრე აბონენტის გამოძახება მიმდინარეობს (ანუ მაქსიმალური გამოსხივების დროს, როცა ოპერატორთან კავშირი მყარდება), უმჯობესია ტელეფონი ყურზე არ გქონდეთ მიდებული და ეს მხოლოდ უკვე ყურმილის აღების შემდეგ გააკეთოთ.**

ამიტომაც, როცა ამის შესაძლებლობა არის, უმჯობესია ყოველთვის მავთულიანი ტელეფონით ისარგებლოთ. თუმცა არა მაშინ, როცა ეს რადიოყურმილია, რომელშიც პოტენციურად საშიში ელექტრომაგნიტური ველები გამოიყენება. შვედმა და ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ რადიოტელეფონები, შესაძლოა, ნეგატიურად მოქმედებენ თავის ტვინსა და ნერვულ სისტემაზე. ამიტომ მათ უნდა მოერიდოთ, თუნდაც დღეში 2-3 საათი არ ილაპარაკოთ.

პრობლემის კიდევ ერთი მხარე, რომელზეც პროფესორი გრიგორიევი ყურადღებას ამახვილებს, უკაბელო ინტერნეტია. მისი თქმით, თავისთავად ინტერნეტ-მავთულები, რომლებითაც თანამედროვე შენობებია დახუნძლული, ჯანმრთელობისთვის საშიშროებას არ წარმოადგენს, მაგრამ Wi - Fi მიმღები (როუტერიძ შეიძლება მავნე იყოს (ვთქვათ, თავის ტკივილი გამოიწვიოსძ ელექტრომაგნიტური გამოსხივების მიმართ მგრძნობიარე ხალხისთვის, რომელთა რიცხვი საღღეისოდ 10-15 პროცენტს შეადგენს. შვედეთში ცალკეული დასახლებებიც კი არსებობს, სადაც თავისი ნებით ის ხალხი სახლდება, რომლებზეც ელექტრომაგნიტური გამოსხივება ცუდად მოქმედებს. **ბოლო სენსაციური სიახლეებიდან კი განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ ავსტრიაში პირველად ოფიციალურად დაადგინეს „ელექტრომაგნიტური ავადმყოფობის" დიაგნოზი.**

გარდა ამისა, მეცნიერებმა ყურადღება მიაქციეს ნოუთბუკებისა და პლანშეტების Wi - Fi სისტემებს: გამოთვლებით დადგინდა, რომ მათ



ადამიანის სხეულზე გამოსხივების შთანთქმისა და გამოსხივების ისეთი ცალკეული უბნების წარმოშობა შეუძლიათ, რომლებიც ამერიკულ მაღალ ნორმებსაც კი სჭარბობენ. ამიტომ ისინი განსაკუთრებით სახიფათონი არიან ორსული ქალებისთვის. ამასთან აღმოჩნდა, რომ ნოუთბუკებსა და პლანშეტებს, რომლებსაც ბოლო დრომდე საფრთხის წყაროდ არ განიხილავდნენ, მამაკაცის სპერმაზე ზემოქმედება – სპერმატოზოიდების მოძრავუნარიანობის დაქვეითება და, შესაბამისად, განაყოფიერების უნარის შეზღუდვა შეუძლიათ.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეც კი, მობილური ტელეფონებით, უკაბელო ინტერნეტით, ასევე ელექტრომაგნიტური გამოსხივების სხვა ობიექტების მოხმარება სავსებით შესაძლებელია, მთავარია, გარკვეული ნორმების დაცვა და, შესაძლებლობის ფარგლებში, ჩამოთვლილი რეკომენდაციების გათვალისწინება.

**ოთარ მერიშვილი**

**განცხადება**

2012 წლის 23 მაისს, ქ. თბილისში, ვუკოლ ბერიძის ქ. №6, 11 საათზე, ჩატარდება რეგისტრირებული კოოპერატივის, საკრედიტო კავშირის „მიზდი" კრედიტორთა საერთო კრება.

ლიკვიდატორი
ნუგზარ მურუსიძე

2012 წლის 23 მაისს, ქ. თბილისში, ვუკოლ ბერიძის ქ. №6, 14 საათზე, ჩატარდება რეგისტრირებული კოოპერატივის, „განათლების ერთიანი საკრედიტო კავშირის" კრედიტორთა საერთო კრება.

ლიკვიდატორი
ნუგზარ მურუსიძე



მეუღლე მერი როგავა, შვილები კონსტანტინე, ელენე როგავები, რძალი ირინა გოგოხია, სიძე პაატა ჟღენტი, შვილიშვილები მარიამ ჟღენტი, ალექსანდრე, თინათინ როგავები, მძახლები ნუგზარ გოგოხია, ნატალია რუსაკოვა, ლიანა ორაგველიძე, მზია შეროზია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ვალიკო (კუკური) როგავა**

პანაშვიდი 17 V, 17 სთ. მისამართი: რადიანის ქუჩა №15. 18 V, 17 სთ. ვაკის სამების ტაძარი. გამოსვენება 19 V, 15 სთ. ვაკის სამების ტაძრიდან.

რუსლან რუსია, რეზო ჭოჭუა ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან შესანიშნავი მოქალაქისა და მამულიშვილის

**ვალიკო (კუკური) როგავას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ვეტერანი მოფარიკავეები – არჩილ გოგელია, იური ოსიპოვი, გივი ცაგარელი, გურამ ჯაიანი, ზურაბ ცქიტიშვილი, ზაზა მჭედლიძე, მერაბ ბაზაძე, დავით სახვაძე, მურმან ასათიანი მწუხარებით იუწყებიან მსოფლიო და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის

**ვლადიმერ აფციაურის**

მოულოდნელი გარდაცვალების შესახებ და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ი. ფაღავას სახელობის პედიატრიის ინსტიტუტი იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ღვაწლმოსილი ექიმი, კლინიკური ლაბორატორიის ხელმძღვანელი

**ივეტა ჩარექიშვილი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

## დაიჯესტი

### ვან გოგისეული... „ოკეანოლოგია“



**დიდი ჰოლანდიელი მხატვრის ვინსენტ ვან გოგის ცნობილი სურათით „ვარსკვლავიანი ღამით“ ტკბობისას, ამერიკის შეერთებული შტატების კოსმოსური კვლევების სააგენტოს (ნასა) რამდენიმე სპეციალისტს უცბად გაახსენდა, რომ მსგავსი რამ... თავის ლაბორატორიებში, კომპიუტერის ეკრანებზე უნახავს... გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ ვან გოგის „ვარსკვლავიანი ღამე“ საოცრად ჰგავს ნასას სპეციალისტების მიერ შედგენილ... საოკეანო დინებათა მოდელს!**

მკითხველს შევახსენებთ, რომ მხატვრულ ტილოზე მოციმციმე სინათლის სფერულ შარავანდედებში გახვეული უზარმაზარი ვარსკვლავებია გამოსახული. ზოგი მათგანი ბაცი ოქროსფერია, ზოგიც სითეთრემდეა გავარვარებული – ისინი მორევში ჩახვეულ ნაკადებს ჰგვანან. დაახლოებით ასე მოძრაობს წყალი მსოფლიო ოკეანეში.



ნასას მოდელი სამეცნიერო პროექტის ECCO 2-ის ფარგლებში ააგეს, რომლის მიზანი კლიმატის ცვლილებათა სხვადასხვა სცენარში ოკეანის როლის შესწავლაა. აღნიშნულ მოდელს კოსმოსიდან გადაღებული მაღალი სიზუსტის ფოტოსურათები დაედო საფუძვლად.

– ჩვენმა სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ ოკეანეში უამრავი დინების გარდა მრავლადაა წყლის გრიგალები, რომლებსაც დედამიწის რეგიონებს შორის სითბო და ნახშირორჟანგი გადააქვთ-გადმოაქვთ, – ასეა ნათქვამი ნასას პრეს-რელიზში.

სპეციალისტების მიერ ვიზუალიზებულ ECCO 2-ის მოდელზე ოკეანის წყლის ზედაპირზე გრიგალები, ფაქტობრივად, არაფრით განსხვავდება ვან გოგისეული „მორევებისგან“. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მხატვარმა რაღაც იდუმალი მანქანებით ათწლეულების შემდეგ სპეციალისტების დანახული წყლის გრიგალების განჭვრეტა შეძლო.

### საათში 20 მილიონი დოლარის სიჩქარით

**ავტორიტეტულმა ამერიკულმა ჟურნალმა „ფორბსმა“ ახალი ონლაინ-სერვისი აამოქმედა.**

**ახლა ყველა მსურველს ნებისმიერ დროს შეუძლია იმის გაგება, თუ როგორ იცვლება დედამიწის უმდიდრეს ადამიანთა ქონებრივი მდგომარეობა. ინფორმაცია ჟურნალის საიტზე (www.forbes.com) ნიუ-იორკის საფონდო ბირჟის მუშაობის ყოველ ხუთ წუთში ერთხელ ახლდება.**

– მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანთა ყოველწლიურ რეიტინგებს 25 წელზე მეტი ხანია ვადგენთ, – ამბობს „ფორბსის“ ექსპერტი ლუიზა კროლი. – ახლა კი ინტერნეტში ტექნოლოგიების განვითარებამ ამის გაკეთების საშუალება ონლაინ რეჟიმშიც მოგვცა.



ჟურნალის სპეციალისტებმა მსოფლიო ეკონომიკაში 50 ყველაზე მნიშვნელოვანი ბიზნესმენი შეარჩიეს. მათ შორის უმეტესობას ამერიკელები შეადგენენ (მათ შორის არა ყველაზე მდიდრებიცძ, თუმცა არიან სხვა ქვეყნების წარმომადგენლებიც.

თუ რამდენად საინტერესოა აღნიშნული სერვისით სარგებლობა, ამას თუნდაც ერთი მაგალითი მოწმობს: კერძოდ, „ფორბსის“ რეიტინგში მოხვედრილი ერთადერთი რუსეთელი ოლიგარქის მიხეილ პროხოროვის ქონება, რომელიც ამერიკელთათვის უფრო მეტად როგორც კალათბურთის ცნობილი გუნდის „ნიუ ჯერსი ნეთსის“ მფლობელია საინტერესო, ერთ დღეში 35 მილიონი დოლარით შემცირდა! შედარებისთვის ვიტყვით, რომ იმავე დღეს „ბირჟის ვეშაპის“, ფინანსისტ უორენ ბაფეტის ქონება თითქმის 500 მილიონი დოლარით გაიზარდა, ანუ საათში 20 მილიონ დოლარს იმატებდა! აქვე აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ეს ვირტუალური თანხებია, რომელთა კლება-მატება მათი კუთვნილი კომპანიების აქციების კოტირებაზეა დამოკიდებული. მაგრამ, დაგვეთანხმებით, რომ იმაზე დაკვირვება, თუ როგორ მიდი-მოდის მთელი ქონებები რაღაც წუთებში, საკმაოდ საინტერესო პროცესია.

ისე კი „ფორბსის“ ბოლო მონაცემებით მსოფლიოში 1226 „დოლარიანი“ მილიარდერია, რომელთა ერთობლივი ქონება 4,6 ტრილონი დოლარია. ყველაზე მეტი მდიდარი ადამიანი ამერიკის შეერთებულ შტატებშია – 425, ხოლო მეორე სტრიქონი ამ სიაში რუსეთს უკავია, სადაც 96 ოლიგარქია.

### „პეტრონასების“ ბატონობა



**მალაიზიის დედაქალაქ კუალალუმპურში ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს აქაურები სიმაღლისკენ ლტოლვაში მთელი კაცობრიობის გასწრებას აპირებენ: აქ მსოფლიოში ყველაზე მაღალი ფლაგშტოკია, რომლის სიმაღლე 100 მეტრია, აქაური სატელევიზიო კოშკიც მსოფლიოში „ტანით“ გამორჩეულია – მისი სიმაღლე 421 მეტრია.** გარდა ამისა, იქაური ტყუპი ცათამბჯენების „პეტრონასის“ პარამეტრები, თითქოს გინესის რეკორდების წიგნიდანაა აღებული: სიმაღლე 452 მეტრია, თითოეულში 88 სართულია, მსოფლიოში ყველაზე მაღალი ხიდი კი, რომელიც ტყუპებს ერთმანეთთან აკავშირებს, 41-ე და 42-ე სართულებზეა გადებული. თითოეული ცათამბჯენის ფანჯრების რეცხვას ერთი თვე სჭირდება, ხოლო ჩქაროსნულ ლიფტებს, თანამედროვე ტექნიკის საოცრებას, ტურისტები 84-ე სართულზე რამდენიმე წამში აჰყავს.

### ქალაქზე დაქორწინებულები

**ჩრდილოეთ კაროლინის შტატის ქალაქ დარემში, სადაც 228 ათასი მოსახლეა, მეტად უჩვეულო ამბავი მოხდა: რამდენიმე ასეულმა დარემელმა... თავის ქალაქზე იქორწინა!**

თანაც მათი უმრავლესობა ან უკვე ცოლიანი, ან გათხოვილი იყო. ამ სადღესასწაულო-სახალისო ღონისძიების მონაწილეებმა ჟურნალისტებს უამბეს, რომ ჭეშმარიტად შეყვარებულნი არიან თავიანთ ქალაქში და ოჯახის შესაქმნელად მას საუკეთესო ადგილად მიიჩნევენ. ბევრი „ახლადდაქორწინებული“ დარემში დიდი ქალაქებიდან ჩამოვიდა და ამ ცერემონიით დარემისადმი სიყვარული გამოხატა. ღონისძიება საქველმოქმედო ხასიათს ატარებდა, რომლის დროს საგანგებო საქორწინო საჩუქრების ყიდვა შეიძლებოდა. სუვენირების ვაჭრობით შემოსული ათი ათასი დოლარი ხუთ არაკომერციულ საქველმოქმედო ორგანიზაციას გადაეცა.

## ვულოცავთ!

მთელი გულით მივესალმებით ორ ღირსეულ ქართველს – **ოთარ ფაცაციასა და რაულ ჩილაჩავას,** რომელთაც ბედმა და ბუნებამ ვარდობისთვის ერთ დღეს არგუნა სამზეოს ხილვა. იცოცხლეთ, იდღეგრძელეთ.

თქვენი მეგობრები „საქართველოს რესპუბლიკიდან“

## წკეპლიკები

როგორი რომანტიული ყოფილა მიშა, აგვატირა: სიკვდილის შემდეგ ჩემი ფერფლი ანაკლიის სანაპიროზე მიმოაბნიეთო.

* * *

ქუთაისში წყლის მოგვარების საქმე ვერა და ვერ მოხვდა ხელისუფლების „წარმატებულ რეფორმებში“. სამაგიეროდ 3-მეტრიანი შადრევანი მოხვდა...

* * *

„წარმატებულ რეფორმებში“ შედის პოლიტიკურ ოპონენტთა დაპატიმრება, პატიმართა ცემა-წამება, თავისუფალი სიტყვის დევნა, ტყუილის სიმართლედ აღიარება.

* * *

ბათუმი და ანაკლია
მიშას გულზე ახატია,
ის ქუთაისს ენას უჩლექს,
თურმე ძალზე ჰყვარებია.
თბილისი კი გერი არის,
სულ ფეხებზე არ ჰკიდია?!

* * *

კრემლში მღელვარებაა: მიშას მიერ სხეულის მოჭრილ... ნაწილს ელოდებიან აუქციონზე გამოსატანად. ყველაფერი მზადაა: ტყვიაგაუმტარი ყუთი, გასაიდუმლოებული და მკაცრად შეზღუდულ დამსწრეთა რაოდენობა, ФСБ-ეს ყველაზე მაღალი რანგის დაცვის ჯგუფი...

ყოჩაღ მიშა!!!

**ლონდა მდივანი**

## კადრი



**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## ანეკდოტები

**კაცი, რომელიც ცალმხრივი მოძრაობის ქუჩაზე გადასვლისას ორივე მხარეს აცეცებს თვალებს, სულაც არ არის პესიმისტი და, მით უფრო, ჩერჩეტი. ის თბილისელია.**

* * *

**ჩემი ქმარი 40 წლისაა, „ოდნოკლასნიკებში“ მისი თანაკლასელი გოგოები კი 25-30 წლისანი არიან. ღმერთო ჩემო, თურმე როგორ უჭირდა სწავლა და რამდენჯერ ჩარჩენილა!**



* * *

**ერთმანეთს შეხვდნენ ბრმა და კოჭლი.**

**– აბა, როგორ მიდის საქმე? – კითხულობს ბრმა.**

**– რა უნდა გითხრა, თვითონაც ხედავ.**

* * *

**ტიპი შიშველი ხელებით შეება დათვს. და უხელებოდ დაბრუნდა.**

* * *

**– მაპატიეთ, ბატონო, ეს გზა ზღვისკენ მიდის? – ეკითხება ქალი კაცს.**

**– დიახ.**

**– ესა?**

**– ესეც.**

**– უკაცრავად, ეს გზაც ზღვისკენ მიდის?**

**– დიახ, ქალბატონო, ყველა გზა ზღვისკენ მიდის ამ დაწყევლილ კუნძულზე!**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24